



საქართველოს სახალხო დამცველი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
მოსამართლეობის კანდიდატების იუსტიციის
უმალლესი საბჭოს მიერ შერჩევის
მონიტორინგის ანგარიში

მომზადებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული
კანონის 21-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

2019

სარჩევი

შესავალი	3
1. წინასიტყვი	3
2. დაკვირვების მიზანი და მეთოდოლოგია	7
3. ძირითადი მიგნებები.....	8
საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში	13
1. კანდიდატად რეგისტრაცია	14
1.1 იურიდიული განათლების მოთხოვნასთან კანდიდატების შესაბამისობა.....	15
2. პირველი ფარული კენჭისყრა და ე.წ. გრძელი სიის ფორმირება.....	28
3. გასაუბრების მიმდინარეობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში	31
4. კანდიდატების შეფასება	32
5. ფარული კენჭისყრით 20 კანდიდატის შერჩევა და პარლამენტისათვის წარდგენა	36
6. კავშირი კანდიდატების შეფასებასა და შემდგომ კენჭისყრებს შორის	40
7. ინტერესთა კონფლიქტი.....	42
8. გამჭვირვალობა.....	44
დასკვნა.....	46

შესავალი

1. წინასიტორია

მიმდინარე პერიოდში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესი განსაკუთრებული ყურადღების საგანია. საკითხის მნიშვნელობა ძირითადად ორმა გარემოებამ განაპირობა: უზენაეს სასამართლოში ვაკანსიების უპრეცედენტოდ მაღალმა რაოდენობამ და პირველმა შემთხვევამ ქვეყნის ისტორიაში, როდესაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები უკადოდ დაინიშნებიან. ამასთან, საზოგადოებრივ ყურადღებას ფონად გასდევდა დაბალი ნდობა მართლმსაჯულების სისტემისა და კონკრეტულად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმართ.¹

მიმდინარე პროცესს სათავე დაუდო კონსტიტუციაში შეტანილმა ცვლილებებმა², რომელთაც ახლებურად განსაზღვრეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა არჩევის პროცედურა. კერძოდ, თუ მანამდე პარლამენტს კანდიდატებს პრეზიდენტი წარუდგენდა, ახალი ცვლილებებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო გახდა უფლებამოსილი კანდიდატების წარდგენაზე. ამასთან, კონსტიტუციით განისაზღვრა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა არანაკლებ 28 მოსამართლით მაშინ, როდესაც მოქმედი კანონით ეს ციფრი არანაკლებ 16-ს შეადგენდა.³ აღნიშნული სამართლებრივი ცვლილებებისა და ცალკეული ფაქტობრივი გარემოებების გამო,⁴ 2018 წლის ბოლოსათვის ვაკანსიების რაოდენობამ 18-ს მიაღწია, 2019 წლის მაისში კი 20-ს. 2019 წლის მაისში უზენაეს სასამართლოში სულ 10 მოსამართლე მუშაობდა.

კონსტიტუციის ახალი ცვლილება, რომლითაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლი და მოსამართლეთა გაზრდილი რაოდენობა განისაზღვრა, ამოქმედდა ახლადარჩეული პრეზიდენტის მიერ 2018 წლის 16 დეკემბერს ფიცის დადების მომენტიდან. კონსტიტუციის ახალი რედაქციის გათვალისწინებით, ცვლილებები შევიდა

¹ აღნიშნულ საკითხზე საუბრობს ვენეციის კომისიაც, მის მიერ საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის საკითხზე მომზადებულ სასწრაფო მოსაზრებაში, მე-14 და 63-ე პარაგრაფებში. დასკვნა პირველად 2019 წლის 16 აპრილს გამოქვეყნდა და დადასტურებულ იქნა 24 ივნისს, ვენეციის კომისიის პლენარულ სხდომაზე. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://bit.ly/30qSvpE> > [ბოლოს ნანახია: 18.09.19]

² საქართველოს კონსტიტუციაში 2017 წლის 13 ოქტომბერს შეტანილი ცვლილებები.

³ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი, 2017 წლის რედაქცია.

⁴ წარსულ პერიოდში წარმოშობილ ვაკანსიებზე საქართველოს პრეზიდენტმა კანდიდატები წარადგინა, თუმცა პარლამენტში ეს საკითხი არ განხილულა.

კანონმდებლობაში,⁵ თუმცა, განუსაზღვრელი დარჩა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა და თავმჯდომარის კანდიდატების შერჩევისა და წარდგენის პროცედურა და შეფასების კრიტერიუმები. სამწუხაროდ, სპეციალური პროცედურის არარსებობის პირობებში, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ვერ აჩვენა საკითხის განხილვის მაღალი სტანდარტი და კონსტიტუციური ცვლილებების ამოქმედებიდან 1 კვირაში, ყოველგვარი პროცედურების, კრიტერიუმების, ჯეროვანი განხილვისა და დასაბუთების გარეშე, 2018 წლის 24 დეკემბერს მიიღო წარდგინება #2. წარდგინების შინაარსი მხოლოდ 1 წინადადებას მოიცავდა და ჩამოთვლიდა 10 კანდიდატს, რომლებიც პარლამენტს წარედგინა. მას არ ერთვოდა არც ერთი დოკუმენტი, მათ შორის არც კანდიდატების შესახებ მოკლე ინფორმაცია. 10-ივე კანდიდატი მოქმედი მოსამართლე იყო, ხოლო 2 მათგანი⁶ ამავე დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს წარმოადგენდა.⁷ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების დაჩქარებულად და დაუსაბუთებლად მიღებამ მწვავე საზოგადოებრივი კრიტიკა გამოიწვია. აღნიშნულ საკითხს საჯარო განცხადებით გამოვეხმაურეთ,⁸ სადაც ყურადღება გავამახვილეთ საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გაუმჭვირვალედ მიღებაზე, ინტერესთა კონფლიქტზე, რა დროსაც პარლამენტისათვის წარდგენილ 10 კანდიდატს შორის აღმოჩნდა თავად საბჭოს 2 მოქმედი წევრი, ასევე შეფასების კრიტერიუმებისა და შერჩევის პროცედურის არარსებობაზე. აღნიშნული გარემოებების გამო, საქართველოს პარლამენტს წარდგენილი კანდიდატების განხილვის პროცესის შეჩერებისაკენ და კანონში მკაფიო კრიტერიუმებისა და შერჩევის პროცედურის გასაწერად მუშაობის დაუყოვნებლივ დაწყებისაკენ მოვუწოდეთ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2018 წლის 24 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილება იმავე დღეს განიხილა პარლამენტის ბიურომ, რომელიც სამუშაო დღის ბოლოს, 18:00 საათზე გაიმართა. ბიუროს გადაწყვეტილებით, წარდგინება განსახილველად იურიდიულ საკითხთა კომიტეტს გადაეცა. 3 დღეში, 2018 წლის 27 დეკემბერს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ეკა ბესელიამ კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობის დატოვების შესახებ საჯაროდ განაცხადა და განმარტა, რომ ამ გზით შეჩერდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის ნაჩქარევი და გაუმართლებელი პროცესი. საბოლოოდ, პარლამენტმა შეაჩერა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილი კანდიდატების განხილვა. მოგვიანებით გაკეთებულ განცხადებებში,

⁵ 2018 წლის 21 ივლისის ცვლილებები.

⁶ გიორგი მიქაუტაძე და დიმიტრი გვრიტიშვილი.

⁷ იუსტიციის უმაღლესი საბჭო სულ 15 წევრისაგან შედგება. 2018 წლის დეკემბერში საბჭოში სულ 14 წევრი იყო წარმოდგენილი (საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გადადგომის გამო).

⁸ სახალხო დამცველის 2018 წლის 26 დეკემბრის საჯარო განცხადება. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://bit.ly/2oe3UuW> > [ბოლოს ნანახია: 18.09.19]

საზოგადოებრივი რეაქციის პასუხად, პარლამენტის პასუხისმგებელი პირები საუბრობდნენ კანონით პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის საჭიროებაზე.

სახალხო დამცველი ჩაერთო კანონპროექტის შემუშავების პროცესში, სამუშაო ჯგუფის ფორმატში, სადაც წარადგენდა მოსაზრებებსა და შეთავაზებებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცედურასა და კრიტერიუმებთან დაკავშირებით. კანონპროექტზე მუშაობა საკმაოდ სწრაფ ტემპებში წარიმართა და საბოლოოდ, 2019 წლის 6 მარტს პარლამენტს წარედგინა პარლამენტის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის კაბინეტის ავტორობით მომზადებული კანონპროექტი, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობის 7 დეპუტატის მიერ იქნა ინიცირებული.

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის მიერ მომზადებული კანონპროექტი ვერ უზრუნველყოფდა ქვეყნისათვის ამ კრიტიკულ მომენტში არსებულ გამოწვევებზე სრულფასოვან პასუხს და მასთან დაკავშირებული მოსაზრებები 2019 წლის 20 მარტს გამოაქვეყნა.⁹ სახალხო დამცველი მონაწილეობდა კანონპროექტის საპარლამენტო განხილვებშიც - როგორც კომიტეტების სხდომებზე, ასევე პლენარულ სხდომაზეც. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველად, სახალხო დამცველმა გამოიყენა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული შესაძლებლობა¹⁰ და მოითხოვა კანონპროექტთან დაკავშირებით პლენარულ სხდომაზე მისი მოსმენა, რაც 2019 წლის 19 აპრილს, კანონპროექტის მეორე მოსმენით კენჭისყრამდე გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე, კანონპროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები წარმოადგინა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ოფისმა (შემდგომში ასევე როგორც - „OSCE/ODIHR“).¹¹ დოკუმენტი, რომლის მომზადებაშიც უაღრესად ავტორიტეტული ექსპერტები¹² იყვნენ ჩართულნი,

⁹ სახალხო დამცველის 2019 წლის 20 მარტის საჯარო განცხადება. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://bit.ly/2mDG4bx> > [ბოლოს ნანახია: 18.09.19]

¹⁰ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 154-ე მუხლი.

¹¹ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის დასკვნა ცვლილებების პროექტზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებით, 2019 წლის 17 აპრილი, ვარშავა. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://bit.ly/2oUYqWf> > [ბოლოს ნანახია: 18.09.19]

¹² ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილი მოსამართლე ანდრეაშ შაიო, იურისტების საერთაშორისო კომისიის საპატიო წევრი და ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი მიშელ რივე და მოსამართლეთა ევროპული ასოციაციის პრეზიდენტი და მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის პირველი ვიზე-პრეზიდენტი ჟოზე იგრეია მატოსი.

დეტალურად მიმოიხილავს კანონპროექტის შესაბამისობას საერთაშორისო და რეგიონულ სტანდარტებთან, ნორმებთან და პრაქტიკებთან, ისევე როგორც ეუთოს ფარგლებში ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულებებთან. კანონპროექტის განხილვის პროცესში, ხელისუფლების მიმართვის საფუძველზე, სასწრაფო მოსაზრება წარმოადგინა ვენეციის კომისიამაც.¹³

OSCE/ODIHR-ისა და ვენეციის კომისიის, სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა მოსაზრებების ნაწილი პარლამენტის მიერ მიღებულ კანონში აისახა. მათ შორის: უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატს აღარ მოეთხოვება მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, პარლამენტს მიეწოდება კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, ინტერესთა კონფლიქტის საკითხი მეტწილად მოწესრიგდა, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში კანდიდატებისათვის კითხვების დასმა იმ დეპუტატებსაც შეეძლებათ, ვინც ამ კომიტეტის წევრი არ არის, განისაზღვრა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის პროცედურა. საგულისხმოა, რომ კანონში არ მოხვდა ის მნიშვნელოვანი პრინციპები, რომელთაც ვენეციის კომისია, OSCE/ODIHR, სახალხო დამცველი და არასამთავრობო ორგანიზაციები უწევდა რეკომენდაციას. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულად უნდა გამოიყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების შერჩევის საკითხზე გადაწყვეტილებების ფარულად და დასაბუთების გარეშე მიღება, მათი გასაჩივრების შესაძლებლობის არარსებობა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის კრიტერიუმების განუსაზღვრელობა.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის შერჩევასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის 1 მაისს მიიღო, ძალიან მალე, 10 მაისს კი დაიწყო შერჩევის პროცესში მონაწილეობის მსურველი პირების მხრიდან განცხადებების შემოტანა. მაისის ბოლოს სახალხო დამცველმა მიმართა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ორგანიზაციას საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის შერჩევის პროცესის მონიტორინგის თხოვნით, რაზეც დადებითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ამავდროულად, სახალხო დამცველი დამოუკიდებლად აკვირდებოდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის შერჩევის მიმდინარეობას საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე სპეციალური ანგარიში.

¹³ ვენეციის კომისიის სასწრაფო მოსაზრება საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის საკითხზე. დასკვნა პირველად 2019 წლის 16 აპრილს გამოქვეყნდა და დადასტურებულ იქნა 24 ივნისს, ვენეციის კომისიის პლენარულ სხდომაზე. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://bit.ly/30qSvpE> > [ბოლოს ნანახია: 18.09.19]

2. დაკვირვების მიზანი და მეთოდოლოგია

მოსამართლეთა დანიშვნის/არჩევის პროცესი საერთაშორისო სტანდარტების, მათ შორის ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციისა¹⁴ და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების¹⁵ შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. აღნიშნული პროცესის, როგორც ადამიანის უფლებათა საკითხის მიმართ ვრცელდება სახალხო დამცველის სახედამხედველო ფუნქცია.¹⁶ აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცულია საქართველოს ყოველი მოქალაქის უფლება დაიკავონ საჯარო თანამდებობები, მათ შორის უზენაესი სასამართლოს მოსამართლისა, თუ ისინი აკმაყოფილებენ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით კი ყველას აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის სამართლიანად განხილვის უფლება. შესაბამისად, აღნიშნული უფლებების დაცვა ექვემდებარება სახალხო დამცველის ხედამხედველობას და ექცევა მის კონსტიტუციურ მანდატში.

სახალხო დამცველისათვის მნიშვნელოვანია დარწმუნდეს, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად, სამართლიანი და გამჭვირვალე პროცესის საფუძველზე, კვალიფიკაციითა და რეპუტაციით საუკეთესო კანდიდატები შეირჩევიან. სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული დაკვირვების ერთ-ერთი მიზანია ასევე პარლამენტის მიერ მიღებული ახალი საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკაში მოქმედებისა და პროცესებზე ზეგავლენის შეფასება, ხარვეზებისა და ნაკლოვანებების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის მიზნით სამომავლო ნაბიჯების შეთავაზება გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის.

სახალხო დამცველი აკვირდებოდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის ყველა ეტაპს - საბუთების მიღებას, კანდიდატების რეგისტრაციას, ფარულ კენჭისყრებს, კანდიდატებთან გასაუბრებას. დაკვირვების პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან და სხვა უწყებებიდან გამოთხოვილ იქნა ოფიციალური დოკუმენტაცია და წინამდებარე ანგარიშის მიგნებები სწორედ მათ ეფუძნება. სახალხო დამცველის მხრიდან უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესზე დაკვირვების ძირითადი საგანი იყო პროცედურული საკითხების შემოწმება, კანონმდებლობით გათვალისწინებული პრინციპებისა და გარანტიების

¹⁴ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁵ მაგალითისათვის, იხილეთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „გუდმუნდურ ანდრი ასტრადსონი ისლანდიის წინააღმდეგ“ (განაცხადი #26374/18).

¹⁶ საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტი; „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12-მე-14 მუხლები; ვენეციის კომისიის პრინციპები ომბუდსმენის ინსტიტუტების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ, 2019 წლის 3 მაისი, მე-13 პრინციპი.

პრაქტიკაში აღსრულებაზე დაკვირვება და საერთაშორისო სტანდარტებთან პროცესის შესაბამისობის ზედამხედველობა.

3. ძირითადი მიგნებები

2019 წლის 6 მაისიდან¹⁷ 6 სექტემბრამდე¹⁸, 4-თვიან პერიოდში, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარმართა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცესი. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, საკუთარი მანდატის ფარგლებში, აკვირდებოდა ზემოაღნიშნულ პროცესს. დაკვირვების შედეგები წინამდებარე ანგარიშში ვრცლად არის წარმოდგენილი. დაკვირვების ძირითადი მიგნებები კი შემდეგია:

- კანონმდებელი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებად არ მოიაზრებს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირებს და მოითხოვს უმაღლესი იურიდიული განათლების არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით ქონას. აღნიშნულ საკანონმდებლო მოთხოვნასთან პირის შესაბამისობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს პროცესის საწყის ეტაპზე უნდა დაედგინა და ისე დაერეგისტრირებინა კანდიდატად. ამის მიუხედავად, აღმოჩნდა, რომ 50 კანდიდატისაგან შემდგარ სიაშიც და პარლამენტისათვის წარდგენილ კანდიდატებს შორისაც არიან პირები, რომელთა მიერ უმაღლესი იურიდიული განათლების არანაკლებ მაგისტრის ხარისხით ქონა სათანადოდ არ არის დადასტურებული ან სერიოზულ კითხვებს წარმოშობს. კერძოდ, ამ ეტაპზე სახალხო დამცველის აპარატმა 50 კანდიდატისაგან შემდგარ სიაში გამოკვეთა 5 ასეთი კანდიდატი. მათგან 3 კანდიდატი (ზაზა თავაძე, შალვა თადუმაძე, მირანდა ერემაძე) პარლამენტისათვის წარდგენილ პირთა შორის ფიგურირებს. ზაზა თავაძის შემთხვევაში კანდიდატის მიერ შერჩევის პროცესში წარდგენილი და ჩვენ მიერ მოპოვებული ოფიციალური დოკუმენტაციით ცალსახად დასტურდება, რომ მის მიერ მიღებული უმაღლესი იურიდიული განათლება ვერ აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ მოთხოვნას. შალვა თადუმაძის შემთხვევაში, თავად კანდიდატის მიერ შერჩევის პროცესში წარმოდგენილი და ასევე სახალხო დამცველის აპარატის ხელთ არსებული დოკუმენტაცია ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას შეიცავს და აჩენს სერიოზულ კითხვებს მის მიერ მიღებული უმაღლესი იურიდიული განათლების თაობაზე. მირანდა ერემაძის შემთხვევაში კი

¹⁷ გაიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა, რომელიც შეეხებოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის შერჩევის საკითხს და მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

¹⁸ ამ თარიღში წარუდგინა კანდიდატები იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს პარლამენტს.

იკვეთება, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე (რომლის დასაბუთებაც სახალხო დამცველის მიერ კრიტიკულად არის შეფასებული), 1991-1995 წლებში ჯამბაკურ ბაქრაძის სახელობის თბილისის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტში 4-წლიანი სწავლების შედეგად, მას მიენიჭა მაგისტრის ხარისხი ერთდროულად ორივე პროფესიაში, როგორც იურისტსა და როგორც ეკონომისტს, რაც წინააღმდეგობაშია მოქმედ კანონთან და საგანმანათლებლო სისტემის ძირითად პრინციპებთან.

- იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ განუსაზღვრავს ისეთი პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფდა მოსამართლეების შერჩევას კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმებზე დაყრდნობით, კანდიდატთა ე.წ. გრძელი სიის ფორმირებისას (რეგისტრირებული კანდიდატებისაგან 50 კანდიდატის გადარჩევის ეტაპი). აღნიშნულმა ვითარებამ შესაძლებელი გახადა პროცედურას გამოთიშვოდა კანდიდატი, რომელიც კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებით სხვებს გადაწონდა.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესში თვალსაჩინო იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ორ ჯგუფს შორის არსებული დაპირისპირება. მთელი პროცესის განმავლობაში, მათ შორის ფარული კენჭისყრებისას და კანდიდატთა ქულებით შეფასებისას, სახალხო დამცველის აპარატმა შეძლო გამოეკვეთა 10 ბიულეტენი/შეფასების ფორმა, რომლიც დამთხვევების მაღალი ხარისხით ხასიათდებოდა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრი (მათ შორის, საბჭოს ყველა მოსამართლე წევრი) მოქმედებდა ერთიანი დღის წესრიგით და კოორდინირებულად. წევრებს შორის ასეთი შეთანხმებები კიდევ ერთხელ გამოკვეთს, თუ როგორი მნიშვნელოვანი გამოწვევაა საქართველოს რეალობაში სასამართლოს შიდა დამოუკიდებლობა და რომ კენჭისყრებისა და შეფასების ფარულობა საერთოდ ვერ აღწევს იმ მიზანს, რასაც საბჭოს წევრების ზეგავლენისაგან დაცვა ქვია. ამ პირობებში, კენჭისყრებისა და შეფასების ფარულობა მხოლოდ პროცესზე საზოგადოებრივ ზედამხედველობას აბრკოლებს, რასაც თავისთავად რაიმე ღირებულება არ გააჩნია და პირიქით, ზიანის მომტანია.
- 50 კანდიდატისაგან შემდგარი სიის ფორმირებისას ხმების დათვლის პროცესზე დაკვირვებამ გამოავლინა 10 ბიულეტენი, რომელიც შემოხაზული იყო ერთნაირი სქემითა და დამთხვევების ძალიან მაღალი ხარისხით. 10 ბიულეტენიდან არც ერთში არ ყოფილა შემოხაზული ერთი კანდიდატიც კი, რომელიც ვერ გადავიდა შერჩევის მომდევნო ეტაპზე. დანარჩენ 3 ბიულეტენში ამ ხარისხის დამთხვევა არ გამოვლენილა და მათში

შემოხაზული 5 კანდიდატი, რომელსაც დარჩენილი 10 ბიულეტენიდან არც ერთი ხმა არ მიუღია, გადავიდა შემდეგ ეტაპზე.

- მთელი პროცესის განმავლობაში თვალსაჩინო იყო საბჭოს ცალკეული მოსამართლე წევრების არაკორექტული დამოკიდებულება არამოსამართლე წევრების - ნაზი ჯანეზაშვილისა და ანა დოლიძის მიმართ. არამოსამართლე წევრების მიმართ აგრესია და ცინიკური დამოკიდებულება ასევე გამოავლინა ორმა კანდიდატმა - ვლადიმერ კაკაბაძემ (მოქმედი მოსამართლე) და პაატა შავაძემ (მოქმედი ადვოკატი). ვლადიმერ კაკაბაძე მოცემული მომენტისათვის პარლამენტისადმი წარდგენილ კანდიდატთა სიაშია.
- უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცალკეული მოსამართლე წევრების მხრიდან ადგილი ჰქონდა სახალხო დამცველის მიმართ დაუსაბუთებელ კრიტიკას და ამ გზით ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის დისკრედიტაციის მცდელობას.
- გასაუბრების შემდგომ კანდიდატები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხოლოდ 12-მა წევრმა შეაფასა მაშინ, როდესაც კანონი საბჭოს თითოეულ წევრს ავალდებულებს კანდიდატების შეფასებას.
- მიუხედავად იმისა, რომ კანონში არ არის მითითებული კანდიდატების შეფასებისას შემფასებელთა ვინაობის კონფიდენციალურობის თაობაზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭო შემფასებელთა ვინაობას კონფიდენციალურად მიიჩნევს. შესაბამისად, საბჭოს მხრიდან ჩვენთვის მოწოდებულ შეფასების ფორმებში შემფასებლების ვინაობა საერთოდ არ არის მითითებული.
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12-ივე წევრმა 50 კანდიდატიდან მხოლოდ 6 მიიჩნია ისეთად, რომელიც სრულად აკმაყოფილებდა კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. მათგან მხოლოდ 2 წარედგინა საქართველოს პარლამენტს (მიქაბერიძე ლევან, წულაძე ალექსანდრე).
- როგორც კეთილსინდისიერების, ასევე კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას, მინიჭებული ქულები და შეფასება არ საბუთდება. ამ პირობებში, ბუნებრივია იზრდება შეფასებით, მათ შორის ქულებით მანიპულირების რისკი, ის უფრო მეტად პირობით აღმნიშვნელად რჩება და კარგავს კანდიდატების კეთილსინდისიერებისა თუ კომპეტენტურობის შეფასების ობიექტურ მნიშვნელობას სწორედ დასაბუთების არარსებობის გამო. ფარული კენჭისყრა კი ვერ ასრულებს საბჭოს წევრების შიდა თუ გარე

გავლენისაგან დაცვის ფუნქციას და დიდ დაბრკოლებას ქნის პროცესის გამჭვირვალედ წარმართვისათვის.

- 12 შემფასებლის ფარგლებში, გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც საკმაოდ დიდია სხვაობა კანდიდატისათვის დაწერილ ქულათა შორის (30-დან 57 ქულამდე). 12 შემფასებლის ფარგლებში, რამდენიმე კანდიდატთან დაკავშირებით დაფიქსირდა მინიმალურ და მაქსიმალურ ქულათა შორის სიახლოვეც (3-დან 10 ქულამდე). ქულების შესახებ მონაცემებისა და შეფასების ფორმების გაცნობამ მოგვცა შესაძლებლობა გამოგვეკვეთა თოთოეულ კანდიდატთან დაკავშირებით 10 შემფასებელი, რომელთა მიერ დაწერილი ქულები ძალიან ახლოს არის ერთმანეთთან. ზოგიერთ შემთხვევაში ხერხდება ქულების კონკრეტული ე.წ. კალათის გამოკვეთა და წამოიჭრება შეკითხვა, ხომ არ იყო კანდიდატის შესაფასებელი ქულათა ზღვარი წინასწარ შეთანხმებული საბჭოს ამ წევრებს შორის.
- 50 კანდიდატიდან 20 კანდიდატის შერჩევის მიზნით ჩატარებული კენჭისყრის შედეგების ანალიზისას დაფიქსირდა საბჭოს 10 წევრის მხრიდან ხმათა მაღალი რაოდენობის აკუმულირება 20 კონკრეტულ კანდიდატთან დაკავშირებით, კანდიდატებისათვის საშუალო რაოდენობის ხმების მიცემაზე სრულიად უარის თქმა და ხმათა დაბალი რაოდენობის განაწილება კანდიდატთა მაღალ რაოდენობაზე. 10 წევრის მხრიდან ამ სტრატეგიით მოქმედებამ და კანდიდატებისათვის ხმათა საშუალო რაოდენობის მიუცემლობამ გამოიწვია საბჭოს დანარჩენი წევრების ხმათა თანხვედრით კანდიდატების მომდევნო ეტაპზე გადასვლის შემთხვევები. მონაცემების ანალიზიდან ირკვევა, რომ საბჭოს 10-მა წევრმა ჯამური 200 ხმიდან 164 ხმა გამოიყენა 20 კანდიდატის მხარდასაჭერად, რითაც გარანტირებული გახდა მომდევნო ეტაპზე მათი გადასვლა, ხოლო დანარჩენი 36 ხმა განაწილდა ჯამში 18 კანდიდატზე, რომელთაც არავითარი შანსი აღარ დარჩათ მომდევნო ეტაპზე გადასასვლელად, საბჭოს დანარჩენი წევრებისაგან ხმების დამატების შემთხვევაშიც კი.
- შეფასების მოქმედი სისტემის ფარგლებში, როდესაც მინიჭებული ქულა არ საბუთდება, გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ რაც უფრო მაღალია ქულა, მით უფრო კომპეტენტურია კანდიდატი, თუმცა ამ პირობებშიც კი ნამდვილად გასაკვირია საბჭოს იმ 10 წევრის გადაწყვეტილება, რომლებმაც მაღალი ქულებით შეაფასეს კანდიდატი, თუმცა ხმას არ მისცეს მას, ან პირიქით, ნაკლები ქულებით შეაფასეს კანდიდატი, თუმცა ხმა მისცეს მას. საბჭოს 10 წევრის ფარგლებში, ასეთი 4 კანდიდატი გამოიკვეთა.

- უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში ადგილი ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტს ირაკლი შენგელიას მხრიდან, ვინაიდან მისი ცოლის ძმა ერთ-ერთი კანდიდატი იყო. ამის მიუხედავად, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საწინააღმდეგოდ, მას თვითაცილება არ განუცხადებია და პირიქით, უარყოფდა ინტერესთა კონფლიქტის არსებობას. ინტერესთა კონფლიქტის მდგომარეობაში იმყოფებოდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძეც. მან მართალია თვითაცილება განაცხადა როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა, თუმცა თვითაცილება არ განუცხადებია როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის ხელმძღვანელს, რითაც დაარღვია „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მეორე პუნქტი.
- ახალმა საკანონმდებლო ცვლილებებმა¹⁹ და მის საფუძველზე წარმართულმა პროცესმა საზოგადოებას მისცა შესაძლებლობა ედევნებინა თვალი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატებთან გასაუბრებისათვის. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის წვლილი, რომელმაც საკუთარ ვებგვერდზე გასაუბრების პირდაპირ რეჟიმში ვიდეოტრანსლირება შესთავაზა ინტერნეტმომხმარებელს. თავად საბჭომ სხდომათა ვიდეოჩანაწერები მხოლოდ მოგვიანებით გახადა ხელმისაწვდომი ვებგვერდის მეშვეობით. სამომავლოდ, იმისათვის რომ რომელიმე მაუწყებლის კეთილ ნებაზე არ გახდეს დამოკიდებული პროცესის ამ ხარისხით გამჭვირვალობა, ჯობს მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრების ამსახველი ვიდეოჩანაწერები საბჭოს მიერვე გახდეს ხელმისაწვდომი პირდაპირი ტრანსლაციის ფორმითაც.
- არ იყო დაცული „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მოთხოვნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის გამართვამდე არანაკლებ 7 დღით ადრე საბჭოს ვებგვერდზე სხდომის გამართვის თარიღისა და დღის წესრიგის გამოქვეყნების თაობაზე. არათუ საზოგადოებას, საბჭოს ზოგიერთ წევრსა და აპარატსაც არ ჰქონდათ ინფორმაცია დაგეგმილი სხდომის შესახებ, კანონით დადგენილ ვადებში.
- პროცესის საწყის ეტაპზე, პრობლემად გამოიკვეთა დამკვირვებელი ორგანიზაციებისათვის მათ მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც მოგვიანებით აღმოიფხვრა. გამოიკვეთა

¹⁹ 2019 წლის 1 მაისს შეტანილი ცვლილებები „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში.

შემთხვევა, როდესაც სახალხო დამცველს გამოთხოვილი ინფორმაცია სრულად გადაეცა დაგვიანებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ამავე პროცესთან დაკავშირებული ცვლილებების გამოქვეყნებიდან 4 დღეში, 6 მაისს დაიწყო, როდესაც მიღებულ იქნა მთელი რიგი გადაწყვეტილებები²⁰ და დასრულდა 6 სექტემბერს,²¹ როდესაც საქართველოს პარლამენტს წარედგინა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატები და მათთან დაკავშირებული ინფორმაცია. ანგარიშის წინამდებარე თავი სწორედ ამ 4-თვიან პერიოდს აჯამებს. ანგარიშში მთლიანი პროცესი დაყოფილია რამდენიმე ნაწილად: კანდიდატად რეგისტრაცია, კანდიდატების ე.წ. გრძელი სიის შედგენა, გასაუბრებები, ქულებით შეფასება, კანდიდატთა მოკლე სიის შედგენა და მათი პარლამენტისათვის წარდგენა. თითოეულ ქვეთავში წარმოდგენილია ინფორმაცია შესაბამისი ეტაპის შესახებ. ეტაპების შემდეგ მიმოხილულია ორი მნიშვნელოვანი საკითხი: ინტერესთა კონფლიქტი და პროცესის გამჭვირვალობა.

სახალხო დამცველი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესზე დაკვირვების შედეგებს პერიოდულად აქვეყნებდა, რასაც მოყვა მწვავე თავდასხმები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცალკეული წევრების მხრიდან მედიის, სოციალური ქსელის მეშვეობით და კანდიდატებთან გამართულ გასაუბრებებზეც კი. აღნიშნულის მიუხედავად, სახალხო დამცველი მოწადინებულია კონსტრუქციულად ითანამშრომლოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან მართლმსაჯულების სისტემის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესში თვალსაჩინო იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ორ ჯგუფს შორის არსებული დაპირისპირება. მთელი პროცესის განმავლობაში, მათ შორის ფარული კენჭისყრებისას და კანდიდატთა ქულებით შეფასებისას, სახალხო დამცველის

²⁰ დამტკიცდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილეობისათვის წარსადგენი განცხადების ფორმა, კანდიდატის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას გამოსაყენებელი რეკომენდაციის სტანდარტული ფორმა და სპეციალური კითხვარი, ასევე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა.

²¹ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს #995-02 წერილი. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/229923?> [ბოლოს ნანახია: 18.09.19]

აპარატმა შეძლო გამოეკვეთა 10 ბიულეტენი/შეფასების ფორმა, რომლებიც დამთხვევების მაღალი ხარისხით ხასიათდებოდა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრი (მათ შორის, საბჭოს ყველა მოსამართლე წევრი) მოქმედებდა ერთიანი დღის წესრიგით და კოორდინირებულად. წევრებს შორის ასეთი შეთანხმებები კიდევ ერთხელ გამოკვეთს, თუ როგორი მნიშვნელოვანი გამოწვევაა საქართველოს რეალობაში სასამართლოს შიდა დამოუკიდებლობა და რომ კენჭისყრებისა და შეფასების ფარულობა საერთოდ ვერ აღწევს იმ მიზანს, რასაც საბჭოს წევრების ზეგავლენისაგან დაცვა ქვია. ამ პირობებში, კენჭისყრებისა და შეფასების ფარულობა მხოლოდ პროცესზე საზოგადოებრივ ზედამხედველობას აბრკოლებს, რასაც თავისთავად რაიმე ღირებულება არ გააჩნია და პირიქით, ზიანის მომტანია.

1. კანდიდატად რეგისტრაცია

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2019 წლის 11 მაისს დაიწყო ელექტრონული ფორმით განცხადებების მიღება უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 20 ვაკანსიაზე, რომელიც 31 მაისს დასრულდა.²² ამ დროის განმავლობაში საბჭოში სულ 144 განაცხადი შევიდა.

შერჩევის პირველ ეტაპზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პირის კანდიდატად რეგისტრაციის თაობაზე, რაც ეფუძნება შერჩევის პროცესში მონაწილე პირის მიერ მოსამართლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობასა და განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების სრულყოფილად წარდგენას. პროცესის განმავლობაში გამოიკვეთა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატი დაუკავშირდა რიგ კანდიდატებს დამატებითი დოკუმენტების წარმოსადგენად, რაც ახსნილი იქნა დამკვიდრებული პრაქტიკით. კანონმდებლობაში ასეთი რამ გათვალისწინებული არ არის. პროცესის სრულყოფილად რეგულირებისა და ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით, ჯობს, კანონმდებლობაში გათვალისწინებული იყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის როლი და უფლებამოსილებები შერჩევის ამ ეტაპზე მონაწილე პირებთან კომუნიკაციისას.

2019 წლის 7 ივნისის სხდომაზე, სადაც კანდიდატების რეგისტრაციის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა და ამავდროულად უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესში მონაწილე პირმა გიორგი მიქაუტაძემ თვითაცილება განაცხადა, თუმცა განაგრძო

²² საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 10 მაისის #1/43 გადაწყვეტილება. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<http://hcoj.gov.ge/files/43-2019.pdf>> [ბოლოს ნანახია: 18.09.19]

უფლებამოსილებების შესრულება როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის ხელმძღვანელმა. ვინაიდან იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოცემულ პერიოდში არ ყავდა თავმჯდომარე, დღის წესრიგში დადგა სხდომის თავმჯდომარის შერჩევის საკითხი. გიორგი მიქაუტაძის თვითაცილებების შემდეგ 7 ივნისის სხდომას თავმჯდომარეობდა დიმიტრი გვრიტიშვილი, თუმცა აღნიშნულ სხდომაზე ამ საკითხზე კენჭისყრა არ ჩატარებულა. მომდევნო სხდომებზე თითოეულ შემთხვევაში წევრები კენჭისყრით იღებდნენ გადაწყვეტილებას სხდომის თავმჯდომარედ დიმიტრი გვრიტიშვილის არჩევის შესახებ.²³

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში მონაწილე 144 პირიდან საბჭომ კანდიდატად დაარეგისტრირა 139 მათგანი. 5 პირს უარი ეთქვა კანდიდატად რეგისტრაციაზე.²⁴ უარის მიზეზები 2 შემთხვევაში იყო სპეციალობით მუშაობის 5 წლის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენლობა, 1 შემთხვევაში - პირის მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება დისციპლინური გადაცდომის ჩადენის საფუძველით, 1 შემთხვევაში - 65 წლის ასაკს მიღწევა, ხოლო 1 შემთხვევაში - არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენლობა. 2-მა პირმა კანდიდატად რეგისტრაციაზე უარის თქმის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში გაასაჩივრა, თუმცა მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილებულა.²⁵

1.1 იურიდიული განათლების მოთხოვნასთან კანდიდატების შესაბამისობა

შერჩევის პროცესის ამ ეტაპის სრულყოფილი მონიტორინგი სახალხო დამცველის მხრიდან შესაძლებელი გახდა შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტაციის ასლების სრულად მიღების შემდეგ.²⁶ სახალხო დამცველის აპარატის ყურადღება მიიქცია კანდიდატების შესაბამისობამ მათთვის დაწესებულ ისეთ საკვალიფიკაციო

²³ კანონმდებლობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კონტექსტში არ იცნობს „სხდომის თავმჯდომარის“ ცნებას და სხდომის გაძღოლის უფლებამოსილებას საბჭოს თავმჯდომარეს და მდივანს აძლევს. შექმნილ სიტუაციაში, როდესაც საბჭოს არჩეული არა ყავს თავმჯდომარე, მდივანს კი თვითაცილება ჰქონდა გაცხადებული, საბჭომ სხდომის თავმჯდომარის არჩევა მიიჩნია გამოსავლად, რაც ზოგიერთი წევრის მხრიდან სადავო გახდა.

²⁴ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 7 ივნისის #1/108 გადაწყვეტილება. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://bit.ly/2nmiVLm> >.[ბოლოს ნანახია: 18.09.19]

²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე #სსკ-01-19; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე #სსკ-02-19.

²⁶ სახალხო დამცველმა ინფორმაცია 2019 წლის 24 ივნისის #01-4/7030 წერილით გამოითხოვა, სრულყოფილი ინფორმაცია კი მხოლოდ 2019 წლის 9 აგვისტოს მიიღო, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 7 აგვისტოს #924/1971-03-ო წერილით.

მოთხოვნასთან, როგორცაა „უმაღლესი იურიდიული განათლება არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით/უმაღლესი განათლების დიპლომით.“²⁷ აღნიშნული მოთხოვნა დადგენილია საქართველოში ყველა ინსტანციის მოსამართლისათვის. საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც მოსამართლეებისაგან უმაღლეს იურიდიულ განათლებას სულ მცირე მაგისტრის ხარისხით მოითხოვს, 2013 წლის 17 ნოემბრიდან ამოქმედდა. რასაკვირველია, აღნიშნული თარიღის შემდეგ მოსამართლეების დანიშვნისას/განწესებისას ეს დებულება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ყოველთვის უნდა მიეღო მხედველობაში. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისი ნორმის ფორმულირებიდან ნათელია კანონმდებლის ნება, არ მოიაზროს მოსამართლეობის კანდიდატებად ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე იურიდიული განათლების მქონე პირები. შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ამოცანა ამ პროცესში იყო: 1) შერჩევის პროცესში მონაწილე პირებისაგან მოეთხოვა ისეთი დოკუმენტების წარმოდგენა, რომლითაც უტყუარად დადგინდებოდა მათ მიერ ლიცენზირებული/აკრედიტებული/ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მიღება; 2) წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დეტალურად ემსჯელა შერჩევის პროცესში მონაწილე პირის მხრიდან ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მიღებული კანდიდატების განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტების შესწავლამ ცხადყო, რომ მთელ რიგ კანდიდატებთან მიმართებაში ამ მიმართულებით კითხვის ნიშნები არსებობდა. სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა იმ 50 კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლებიც ე.წ. გრძელ სიაში აღმოჩნდნენ. შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა რამდენიმე საეჭვო გარემოება. რიგ შემთხვევებში, კითხვები წარმოშვა, თუ რამდენად იყვნენ ლიცენზირებული/აკრედიტებული/ავტორიზებული კანდიდატების მიერ მითითებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები/საგანმანათლებლო პროგრამები, რაზეც სახალხო დამცველის აპარატმა კანდიდატების მიერ მითითებულ 11 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან/საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით ოფიციალური ინფორმაცია გამოითხოვა.

კითხვები წარმოშვა ასევე ცალკეული კანდიდატების მხრიდან მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მოთხოვნის დაკმაყოფილებამ იქედან გამომდინარე, რომ მათ მიერვე ან ოფიციალურ დოკუმენტებში სწავლის ხანგრძლივობად მითითებული იყო უფრო ნაკლები პერიოდი, ვიდრე ეს

²⁷ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტი.

მოითხოვება შესაბამისი აკადემიური ხარისხის მისაღებად ან საერთოდ არ ირკვეოდა უმაღლესი იურიდიული განათლების დადგენილი პერიოდის განმავლობაში მიღების ფაქტი. კერძოდ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-8 პუნქტი მიუთითებს, რომ „2005-2006 სასწავლო წლის დაწყებამდე ერთსაფეხურიანი, არანაკლებ ხუთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული უმაღლესი განათლების დიპლომი გათანაბრებულია მაგისტრის დიპლომთან. 2005-2006 სასწავლო წლის დაწყებამდე მიღებული ერთსაფეხურიანი, ხუთ წელზე ნაკლები უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული დიპლომი გათანაბრებულია ბაკალავრის დიპლომთან.“ იმავე მუხლის 8² პუნქტი მიუთითებს, რომ „2004-2005, 2005-2006 და 2006-2007 სასწავლო წლების დასასრულს არანაკლებ 5-წლიანი საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შედეგად გაცემული დიპლომირებული სპეციალისტის დიპლომი გათანაბრებულია მაგისტრის დიპლომთან, 4-წლიანი საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შედეგად გაცემული დიპლომირებული სპეციალისტის დიპლომი გათანაბრებულია ბაკალავრის დიპლომთან, ხოლო არანაკლებ 3-წლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად გაცემული დიპლომირებული სპეციალისტის დიპლომი – პროფესიული უმაღლესი განათლების დიპლომთან.“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, იმ 8 კანდიდატის შესახებ, რომლებიც მოხვდნენ ე.წ. გრძელ სიაში,²⁸ სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესაბამისი ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან და სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მიღებული ოფიციალური დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზები:

1. ზაზა თავაძის მიერ მიღებული უმაღლესი იურიდიული განათლების შესაბამისობა კანონის მოთხოვნასთან

ზაზა თავაძე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ პარლამენტისადმი წარდგენილი უხენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატია. ოფიციალური დოკუმენტაციით ცალსახად დასტურდება, რომ ზაზა თავაძის მიერ მიღებული უმაღლესი იურიდიული განათლება ვერ აკმაყოფილებს ორგანული კანონით დადგენილ მოთხოვნას. ზაზა თავაძე საქართველოს ღია ჰუმანიტარულ ინსტიტუტში 1992-1996 წლებში სწავლობდა. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2017 წლის 7 აგვისტოს გამოცემულ

²⁸ 50 კანდიდატისაგან შემდგარი სია.

ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში²⁹ ხაზგასმით არის მითითებული, რომ აღნიშნული განათლება უთანაბრდება ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს. კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, „[...] ზაზა თავაძის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავდა 4 (ოთხი) წელს. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-8 პუნქტიდან გამომდინარე,³⁰ ზაზა თავაძის მიერ მიღებული განათლება უთანაბრდება ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს.“ ვინაიდან იმავე დოკუმენტის მიხედვით, მას აქვს დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების უფლება, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა დამაზუსტებელი წერილით³¹ მიმართა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს. მიღებული პასუხის მიხედვით,³² დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების უფლება უკავშირდებოდა ზაზა თავაძის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის ფლობას საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირებაში. მიღებული პასუხის მიხედვით, „მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შეზღუდვას სამართლის სადოქტორო პროგრამაზე დაშვებასთან დაკავშირებით (გარდა ნებისმიერი მიმართულების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნისა) [...]“ ცენტრმა მიუთითა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმადაც, „დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.“

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესში ზაზა თავაძის მიერ წარმოდგენილ იქნა ცნობა, რომ ის სწავლას აგრძელებს დოქტორანტურაში, თუმცა ამ დროისათვის დოქტორის ხარისხი მას მინიჭებული არა აქვს. შესაბამისად, მოცემულ მომენტში ზაზა თავაძის უმაღლესი იურიდიული განათლება შემოიფარგლება მხოლოდ ბაკალავრის აკადემიური ხარისხით, რაც ვერ აკმაყოფილებს მოსამართლეებისათვის დადგენილ მოთხოვნას უმაღლესი იურიდიული განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხით ფლობასთან დაკავშირებით. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, არათუ პარლამენტისათვის არ უნდა წარედგინა მისი კანდიდატურა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, არამედ არც უნდა დაერეგისტრირებინა ის კანდიდატად საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესში.

²⁹ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2017 წლის 7 აგვისტოს #MES 31700912617 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

³⁰ აღნიშნული ნორმის მიხედვით, „2005-2006 სასწავლო წლის დაწყებამდე ერთსაფეხურიანი, არანაკლებ ხუთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული უმაღლესი განათლების დიპლომი გათანაბრებულია მაგისტრის დიპლომთან. 2005-2006 სასწავლო წლის დაწყებამდე მიღებული ერთსაფეხურიანი, ხუთ წელზე ნაკლები უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული დიპლომი გათანაბრებულია ბაკალავრის დიპლომთან.“

³¹ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის 4 სექტემბრის #01-4/9716 წერილი.

³² სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 17 სექტემბრის #MES 11901211917 საპასუხო წერილი.

2. შალვა თადუმაძის მიერ მიღებული უმაღლესი იურიდიული განათლების შესაბამისობა კანონის მოთხოვნასთან

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის მიმდინარე პროცესში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს პარლამენტს შალვა თადუმაძის კანდიდატურაც წარუდგინა. შალვა თადუმაძის უმაღლესი იურიდიული განათლება შემოიფარგლება **ნ.დუმბაძის სახელობის თბილისის ჰუმანიტარულ ინსტიტუტში სწავლით**. აღნიშნული დაწესებულების მიერ გაცემულ დიპლომში მითითებულია, რომ შალვა თადუმაძე ნ.დუმბაძის სახელობის თბილისის ჰუმანიტარულ ინსტიტუტში ჩაირიცხა 1993 წელს და 1998 წელს დაამთავრა ის. მას მინიჭებული აქვს იურისტის კვალიფიკაცია. შალვა თადუმაძის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესში წარმოდგენილ განცხადებაში მითითებულია, რომ ის აღნიშნულ სასწავლებელში სწავლობდა 1994 წლის ოქტომბრიდან 1998 წლის ივნისამდე და იქვე მითითებული აქვს, რომ სწავლის ხანგრძლივობა შეადგენდა 5 წელს. თუმცა, 1994 წლის ოქტომბრიდან 1998 წლის ივნისამდე პერიოდი 4 წელს მოიცავს. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს პროკურატურის ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში მითითებულია, რომ შალვა თადუმაძემ „1999 წელს დაამთავრა თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტი [...]“³³

სახალხო დამცველის აპარატის წერილის პასუხად სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, „საქართველოს განათლების სამინისტრომ 1994 წლის 25 აგვისტოს შპს თბილისის ჰუმანიტარულ ინსტიტუტზე (შემდგომში ნ.დუმბაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი) გასცა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის #01-17-08/839 ლიცენზია. აღნიშნული ლიცენზიის ფარგლებში, დაწესებულებას უფლება მიეცა განეხორციელებინა რიგი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები, მათ შორის, სამართალმცოდნეობის პროგრამა. ამასთან, საარქივო მასალებში დაცულია თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტის მხოლოდ 1997-1998 სასწავლო წლის სასწავლო სამუშაო გეგმა. აღნიშნული სასწავლო სამუშაო გეგმა დამტკიცებულია თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტის რექტორის მიერ და მოიცავს 4 (ოთხ) კურსს. ვაკე-საბურთალოს სასამართლოს 2003 წლის 5 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე, შპს თბილისის ჰუმანიტარულ ინსტიტუტს შეეცვალა საფირმო სახელწოდება და ეწოდა შპს ნ.დუმბაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი. დღეის მდგომარეობით, აღნიშნული დაწესებულება წარმოადგენს

³³ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<http://pog.gov.ge/employee/chief>> [ბოლოს ნანახია: 07.10.2019]

საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.”³⁴

თავად კანდიდატის მიერ შერჩევის პროცესში წარმოდგენილი და ასევე სახალხო დამცველის აპარატის ხელთ არსებული დოკუმენტაცია აჩენს სერიოზულ კითხვებს შალვა თადუმაძის მიერ მიღებული უმაღლესი იურიდიული განათლების თაობაზე. კერძოდ: 1. დიპლომში მითითებულია, რომ ის ნ.დუმბაძის სახელობის თბილისის ჰუმანიტარულ ინსტიტუტში ჩაირიცხა 1993 წელს, მაშინ როდესაც დაწესებულებამ ლიცენზია 1994 წლის 25 აგვისტოს მიიღო. 2. 1993 წელს შალვა თადუმაძე მხოლოდ 15 წლის იყო.³⁵ 3. დიპლომში საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდებად მითითებულია „ნ.დუმბაძის სახელობის თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტი“ მაშინ, როდესაც აღნიშნული სახელწოდება მას ეწოდა ვაკე-საბურთალოს სასამართლოს 2003 წლის 5 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე, ხოლო დიპლომი გაცემულია 1998 წელს. 4. საარქივო მასალებში დაცულია თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტის მხოლოდ 1997-1998 სასწავლო წლის სასწავლო სამუშაო გეგმა, რომელიც მოიცავს 4 (ოთხ) კურსს.

ზემოაღნიშნული გარემოებები აჩენს კითხვებს, შალვა თადუმაძის მიერ მიღებული უმაღლესი იურიდიული განათლების „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის პირველ პუნქტთან შესაბამისობის თაობაზე, რომელიც მოსამართლედ განმწესების წინაპირობად მიიჩნევს უმაღლეს იურიდიულ განათლებას მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით/უმაღლესი განათლების დიპლომით. აღნიშნული გარემოებები უნდა გამხდარიყო მსჯელობის საგანი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, სანამ აღნიშნული ორგანო მიიღებდა გადაწყვეტილებას შალვა თადუმაძის კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ, რასაც ადგილი არ ჰქონია.

3. მირანდა ერემაძის მიერ მიღებული უმაღლესი იურიდიული განათლების შესაბამისობა კანონის მოთხოვნასთან

მირანდა ერემაძე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ პარლამენტისათვის წარდგენილი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატია. ის უმაღლეს იურიდიულ განათლებას მხოლოდ 4 წლის განმავლობაში ეუფლებოდა. ამის მიუხედავად, 2016 წელს ის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლედ გამწესდა 3 წლის ვადით,³⁶ ხოლო 2017 წელს კი -

³⁴ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2019 წლის 20 სექტემბრის #MES 31901236453 წერილი.

³⁵ დაბადებულია 1978 წლის 22 იანვარს.

³⁶ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 14 ივლისის #1/148 გადაწყვეტილება. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://bit.ly/2oiQVbe> >

უკადოდ.³⁷ მირანდა ერემაძესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის, მათ შორის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული მასალებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესწავლამ ძალიან სერიოზული პრობლემები გამოავლინა.

მირანდა ერემაძე მოსამართლედ თავდაპირველად 2006 წლის 29 აგვისტოს გამწესდა, 10 წლის ვადით. ამ პერიოდში მოქმედი კანონი მოსამართლეების განმწესების წინაპირობად მიიჩნევდა მხოლოდ უმაღლეს იურიდიულ განათლებას და არა კონკრეტულად მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის ქონას. მსგავსი მოთხოვნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2013 წლის 1 ნოემბრის ცვლილებებით იქნა შემოღებული, რომელიც 2013 წლის 17 ნოემბერს ამოქმედდა. შესაბამისად, 2013 წლის 17 ნოემბრის შემდეგ მოსამართლის დანიშვნა/არჩევა შესაძლებელია მხოლოდ მის მიერ უმაღლესი იურიდიული განათლების მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხით ფლობის შემთხვევაში.

მირანდა ერემაძის უმაღლესი იურიდიული განათლება შემოიფარგლება მხოლოდ **ჯამბაკურ ბაქრაძის სახელობის თბილისის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტში** 4-წლიანი სწავლებით, რა დროსაც მას ერთდროულად მიენიჭა იურისტისა და ეკონომისტის კვალიფიკაცია. სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ბოლო წელს მოსამართლემ განათლების მიღების ფაქტის დადასტურებასთან ერთად მისი დიპლომის მაგისტრის დიპლომთან გათანაბრების დადასტურება მოითხოვა.³⁸ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და უარყოფითი გადაწყვეტილება 2015 წლის 7 სექტემბერს მიიღო.³⁹ თბილისის საქალაქო სასამართლომ მირანდა ერემაძის სასარგებლოდ გადაწყვეტილება 2015 წლის 7 დეკემბერს გამოიტანა,⁴⁰ ბათილად ცნო 2015 წლის 7 სექტემბრის ბრძანება და ცენტრს მირანდა ერემაძის მაგისტრის საფეხურთან გათანაბრებული უმაღლესი განათლების აღიარების შესახებ ახალი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტის გამოცემა დაავალა.⁴¹ 2016 წლის 19

³⁷ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 20 ოქტომბრის #1/272 გადაწყვეტილება. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://bit.ly/2ohABYE> >

³⁸ მირანდა ერემაძის 2015 წლის 5 აგვისტოს განცხადება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

³⁹ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 7 სექტემბრის ბრძანება #732.

⁴⁰ სასამართლო გადაწყვეტილებები მირანდა ერემაძესთან ერთად სამ სხვა პირს შეეხება, თუმცა ანგარიშში სასამართლო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული შეფასებები მირანდა ერემაძის ნაწილშია გაკეთებული, ვინაიდან სწორედ მისი დოკუმენტაცია შეისწავლა სახალხო დამცველის აპარატმა.

⁴¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული, როდის შეიტანა მირანდა ერემაძემ სარჩელი 2015 წლის 7 სექტემბერს გამოცემული ბრძანების ბათილად ცნობისა და ცენტრისთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის

თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით⁴² ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. 2016 წლის 18 მაისს უზენაესმა სასამართლომ წარმოებაში მიიღო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკასაციო საჩივარი,⁴³ ხოლო 25 მაისს, 7 კალენდარულ დღეში აღნიშნული საჩივარი ცნო დაუშვებლად.⁴⁴ საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა არც ერთი საფუძველი საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობისათვის,⁴⁵ „მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ხოლო საკასაციო საჩივარს - წარმატების პერსპექტივა“. აღნიშნული გარემოებები ნათელს ხდის, რომ სასამართლოს გადატვირთულობისა და მისი მხრიდან საპროცესო ვადების სისტემატურად დარღვევის ფონზე, სამივე ინსტანციის სასამართლო საკმაოდ დროულად და შეიძლება ითქვას, რომ უჩვეულოდ სწრაფადაც ღებულობდა გადაწყვეტილებებს მოსამართლე მირანდა ერემაძის იმ საქმეზე, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მოსამართლედ მისი ხელახლა დანიშვნისათვის. სადავო აქტის გამოცემიდან დაახლოებით 8 თვეში საქმემ სასამართლოს სამივე ინსტანცია მოიარა და საბოლოო გადაწყვეტილებაც იქნა მიღებული.⁴⁶

დავლების მოთხოვნით. წინამდებარე საქმეზე უზენაესი სასამართლოს მიერ 2016 წლის 25 მაისს გამოტანილი განჩინების მიხედვით, სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს წარედგინა 2015 წლის 1 ოქტომბერს.

⁴² თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული, როდის შეიტანა სააპელაციო საჩივარი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა.

⁴³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებში არ არის მითითებული, როდის შეიტანა საკასაციო საჩივარი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა. ცენტრის მიერ მოწოდებულ მასალას თან ახლავს დოკუმენტი, საიდანაც ირკვევა, რომ ცენტრს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 19 თებერვლის განჩინება გაეგზავნა 2016 წლის 23 მარტის წერილით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაა 21 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.“

⁴⁴ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, „ადმინისტრაციულ საქმეზე საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადაა 6 თვე.“

⁴⁵ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის უზენაესი სასამართლოს მიერ განჩინების გამოტანის მომენტისათვის მოქმედი რედაქციის მიხედვით, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით და არსებობს ვარაუდი, რომ მას შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.“

⁴⁶ საგულისხმოა, რომ მირანდა ერემაძის საქმის განხილვაში მონაწილე სამივე ინსტანციის ყველა მოსამართლე, გარდა ერთისა (უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ვასილ როინიშვილს უფლებამოსილების ვადა 2019 წლის 18 დეკემბერს ეწურება და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის იმ პროცესში, რომელზეც ანგარიშშია საუბარი, მონაწილეობა არ მიუღია), მონაწილეობდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესში. პირველი ინსტანციის

კრიტიკას ვერ უძლებს მირანდა ერემადის სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების შინაარსი. დაუსაბუთებლობის გამო ის სრულ წინააღმდეგობაშია კანონთან და სრულიად უსამართლოა. სასამართლომ საერთოდ უარი თქვა მირანდა ერემადის საქმეში „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-8 პუნქტის გამოყენებაზე, რომლის მიხედვითაც „2005-2006 სასწავლო წლის დაწყებამდე ერთსაფეხურიანი, **არანაკლებ ხუთწლიანი** საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული უმაღლესი განათლების დიპლომი გათანაბრებულია მაგისტრის დიპლომთან. 2005-2006 სასწავლო წლის დაწყებამდე მიღებული ერთსაფეხურიანი, **ხუთ წელზე ნაკლები** უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული დიპლომი გათანაბრებულია ბაკალავრის დიპლომთან.“ სასამართლომ სრულიად დაუსაბუთებლად მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმის გამოყენება წინააღმდეგობაში იქნებოდა კანონის უკუძალის აკრძალვის პრინციპთან.⁴⁷ მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილებაში პირდაპირ არის ციტირებული ბევრი ნორმა მოქმედი კანონმდებლობიდან, მათ შორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის განმარტება, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის კომპეტენციები სრულად და ა.შ., უკუძალის საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს არც ერთი ნორმა არ აქვს მოხმობილი, იმის მიუხედავად, რომ ეს იყო მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მთავარი სამართლებრივი დასაბუთება. უკუძალის პრინციპზე მსჯელობისას, სასამართლო საკანონმდებლო საფუძვლის არმქონე მსჯელობებს ავითარებს და წერს: „სასამართლო განმარტავს, რომ საერთო წესის თანახმად, კანონს არ აქვს უკუძალა. ამ წესიდან გამონაკლისი გათვალისწინებული უნდა იყოს თვითონ კანონში. არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას.“⁴⁸ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმის ციტირება განსხვავებულ რეგულაციას ადგენს. ნორმატიული აქტის უკუძალას შეეხება აღნიშნული კანონის 24-ე მუხლი, რომელიც სულ ორი პუნქტისაგან შედგება. პირველი პუნქტის მიხედვით, „ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით“, ხოლო მე-2 პუნქტის მიხედვით, „ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან

მოსამართლე ნათია ბუსკაძე საბჭომ კანდიდატად დაარეგისტრირა, თუმცა ის ვერ მოხვდა 50 კანდიდატისაგან შემდგარ სიაში. სააპელაციო სასამართლოს სამივე მოსამართლე - გიორგი ტყავაძე, მერაბ ლომიძე და თეა ძიმისტარაშვილი მოხვდნენ 50 კანდიდატისაგან შემდგარ სიაში, ხოლო უზენაესი სასამართლოს მოსამართლე მაია ვაჩაძე და ნუგზარ სხირტლაძე საბჭომ პარლამენტს წარუდგინა.

⁴⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე #3/7740-15, გვ.36; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე #3/ბ-170-16, გვ.70-71.

⁴⁸ იქვე.

ამდომებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.“ ცალსახაა, რომ კანონი ნორმატიული აქტის უკუძალას კრძალავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-8 ნაწილი კი ბუნებრივია არც ადგენდა რაიმე პასუხისმგებლობას და არც ამძიმებდა მას. მეორე ძირითადი არგუმენტი, რომელსაც სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო, იყო ის, რომ მირანდა ერემაძეს გააჩნდა კანონიერი ნდობა მის სახელზე გაცემული დიპლომის მიმართ.⁴⁹ სრულიად აბსურდულია ამ ნაწილში სასამართლოს მიერ მოყვანილი მსჯელობა და გაკეთებული დასკვნები. კანონიერი ნდობა ადმინისტრაციულ სამართალში უკავშირდება კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის დაუშვებლობას გარკვეულ შემთხვევებში,⁵⁰ რასაც საერთოდ არ ჰქონია ადგილი წინამდებარე საქმეში და არავის უცნია ბათილად მირანდა ერემაძის სახელზე გაცემული დიპლომი.

საქართველო 2005 წლიდან შეუერთდა ბოლონის პროცესს. ამ პერიოდიდან შემოღებულ იქნა უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სისტემა, რომელიც ბაკალავრიატს, მაგისტრატურასა და დოქტორანტურას მოიცავს. „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებით⁵¹ მოწესრიგდა რეფორმამდე მიღებული უმაღლესი განათლების შესაბამისობა ახალ სისტემასთან და მიეთითა, რომ მაგისტრის დიპლომთან გათანაბრებულია 2005-2006 სასწავლო წლის დაწყებამდე ერთსაფეხურიანი, არანაკლებ ხუთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული უმაღლესი განათლების დიპლომი. 2005 წლამდე, ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის აკადემიური ხარისხები ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში საერთოდ არ არსებობდა.

სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, 1991-1995 წლებში ჯამბაკურ ბაქრაძის სახელობის თბილისის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტში 4-წლიანი სწავლების შედეგად, მირანდა ერემაძეს მიენიჭა მაგისტრის ხარისხი ერთდროულად ორივე პროფესიაში, როგორც იურისტსა და როგორც ეკონომისტს, რაც წინააღმდეგობაშია მოქმედ კანონთან და საგანმანათლებლო სისტემის ძირითად პრინციპებთან.⁵²

⁴⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე #3/7740-15, გვ.36-30; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე #3/ბ-170-16, გვ.73-75.

⁵⁰ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილები.

⁵¹ 2005 წლის 13 მაისის საკანონმდებლო ცვლილება.

⁵² აღსანიშნავია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 14 ივლისის #1/148 გადაწყვეტილებით მირანდა ერემაძე თბილისის სააპელაციო სასამართლოში დაინიშნა. კონკურსში, რომელშიც მან მონაწილეობა მიიღო, საბუთების შეტანა თავდაპირველად 2016 წლის 3 მაისიდან 22 მაისის ჩათვლით იყო შესაძლებელი (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 აპრილის #1/134 გადაწყვეტილება). აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, 23 მაისს საბუთების შეტანის საბოლოო ვადა 30 მაისით

ზემოაღნიშნული გარემოებების გარდა, ყურადსაღებია ასევე 50 კანდიდატისაგან შემდგარ სიაში მოხვედრილი პირების - **გიორგი ტყავაძისა** (მოქმედი მოსამართლე) და **შოთა ლაითაძის** შემთხვევა.

შერჩევის პროცესში მონაწილეობის მიზნით წარდგენილ განცხადებაში **გიორგი ტყავაძეს** უნდა მიეთითებინა პასუხი შეკითხვაზე: „ყოფილხართ თუ არა მოსარჩელე, მოპასუხე ან მესამე პირი სასამართლო დავაში.“ მიუხედავად იმისა, რომ შეკითხვა თავისთავად ყველა ტიპის დავას მოიცავდა, გიორგი ტყავაძემ არ მიუთითა მისი დიპლომის მაგისტრის დიპლომთან გათანაბრების საკითხზე ნაწარმოები დავის შესახებ და პასუხად დააფიქსირა შემდეგი: „არა. მოსამართლედ მუშაობის პერიოდში - 2008 წლის ნოემბრიდან დღემდე არ მქონია ქონებრივი დავა სასამართლოში.“ გიორგი ტყავაძეს დავა ჰქონდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრთან და სასამართლოს მეშვეობით ითხოვდა მის მიმართ გამოცემული უარყოფითი გადაწყვეტილების ბათილად ცნობასა და ცენტრისათვის თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის ინსტიტუტის მიერ მასზე გაცემული იურისტის დიპლომის მაგისტრის დიპლომთან გათანაბრების დავალებას. საყურადღებოა, რომ გიორგი ტყავაძემ გაასაჩივრა მის მიმართ ცენტრის მიერ 2017 წლის 3 ოქტომბერს გამოტანილი #MES 91701197590 გადაწყვეტილება, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება⁵³, რომლითაც დაკმაყოფილდა გიორგი ტყავაძის ყველა სასარჩელო მოთხოვნა, გამოცემულია სადავო აქტის გამოცემიდან 10 კალენდარულ დღეში - 2017 წლის 13 ოქტომბერს.⁵⁴ სადავო

განისაზღვრა (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 23 მაისის #1/138 გადაწყვეტილება), რაც ასევე შეკითხვებს წარმოშობს. მირანდა ერემაძე აღნიშნული კონკურსის ფარგლებში გამწესდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ, თუმცა საბუთების შეტანის ვადის გასვლის შემდეგ, 2016 წლის 8 ივლისს არის გამოცემული სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის ბრძანება მის მიერ მიღებული მაგისტრის საფეხურთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი, 4-წლიანი განათლების აღიარების შესახებ, ხოლო 2016 წლის 14 ივლისს საბჭომ მისი დანიშვნის გადაწყვეტილება მიიღო.

⁵³ გადაწყვეტილება მიიღო მოსამართლე ნანა დარასელიამ. გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული, როდის შევიდა გიორგი ტყავაძის სარჩელი სასამართლოში.

⁵⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აღარ გაუსაჩივრებია და მის საფუძველზე, 2017 წლის 21 ნოემბერს გამოსცა #MES 21701423203 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სადაც მითითებულია, რომ გიორგი ტყავაძის მიერ მიღებული განათლება უთანაბრდება მაგისტრის აკადემიურ ხარისხს. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 16 ნოემბერს #1/178 გადაწყვეტილებით იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ კონკურსის გარეშე ისე დაინიშნა გიორგი ტყავაძე ზემდგომი ინსტანციის - თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლედ, რომ მის მიერ მიღებული უმაღლესი იურიდიული განათლების მაგისტრის ხარისხთან გათანაბრების თაობაზე არ ყოფილა

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 10 კალენდარულ დღეში მისი ბათილობის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების გამოცემა ქართული სამართლებრივი სივრცისათვის უპრეცედენტოა და სასამართლო გადაწყვეტილების ასეთ სწრაფ რეჟიმში მიღების სხვა შემთხვევების შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის ცნობილი არ არის. აქაც რასაკვირველია კითხვებს წარმოშობს, რამ განაპირობა სასამართლოს მხრიდან ასეთი სისწრაფე და ხომ არ ჰქონდა ადგილი სასამართლო სისტემისა და პირადი კავშირების პირადი ინტერესებისათვის გამოყენებას.⁵⁵

რაც შეეხება **შოთა ლაითაძეს**, ის 2004-2008 წლებში სწავლობდა დ.გურამიშვილის სახელობის ქართულ-უკრაინულ საერთაშორისო უნივერსიტეტ „იბერიაში“, რომელმაც მასზე გასცა სამართალმცოდნის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. **შოთა ლაითაძე 4-დან 3 წლის განმავლობაში სამართალმცოდნის ბაკალავრის ხარისხს ეუფლებოდა იმ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელსაც ინსტიტუციური აკრედიტაციაც კი არ ჰქონდა.**⁵⁶ შოთა ლაითაძე 2008-2010 წლებში სწავლობდა დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ იბერიაში, რომელმაც 2010

მიღებული შესაბამისი სამართლებრივი აქტი და ასეთი აქტი მხოლოდ 2 წლის შემდეგ გამოიცა. რასაკვირველია, მოსამართლის დანიშვნის გადაწყვეტილების მიღებამდე, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს სათანადოდ უნდა გამოეკვლია, აკმაყოფილებდა თუ არა პირი „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანიზაციის კანონით დადგენილ მოთხოვნას უმაღლესი იურიდიული განათლების მაგისტრის ხარისხით ფლობის თაობაზე.

⁵⁵ გიორგი ტყავაძის საქმეში სასამართლოს მხრიდან გამოჩენილი სისწრაფე შესაძლოა გარკვეულწილად იმ გარემოებას უკავშირდებოდა, რომ 2017 წლის 16 ოქტომბერს #1/259 გადაწყვეტილებით საბჭომ კონკურსი გამოაცხადა სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე. აღნიშნულ კონკურსში გიორგი ტყავაძემაც მიიღო მონაწილეობა. საბუთების შეტანის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 23 ოქტომბრიდან 13 ნოემბრის ჩათვლით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 20 ნოემბრის #1/313 გადაწყვეტილებით, კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ფორმალური მხარის შემოწმების შედეგად, კონკურსის მეორე ეტაპზე გადასულ კანდიდატთა შორის გიორგი ტყავაძე იყო, თუმცა მის მიერ მიღებული განათლების მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრების საკითხზე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრმა #MES 21701423203 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მეორე დღეს, 21 ნოემბერს გამოსცა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 11 იანვრის #1/5 გადაწყვეტილებით, კონკურსის საფუძველზე გიორგი ტყავაძე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესდა.

⁵⁶ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ თავდაპირველად აღნიშნულ დაწესებულებას ეწოდებოდა შპს თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „იბერია“. „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის #384 ბრძანების თანახმად, თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2008 წლის 11 აპრილის #15604/002-2/4-294 შპს ბრძანების საფუძველზე, შპს თბილისის დამოუკიდებელ უნივერსიტეტ „იბერიას“ შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა შპს დავით გურამიშვილის სახელობის ქართულ-უკრაინულ საერთაშორისო უნივერსიტეტი „იბერია“. „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭოს 2005 წლის 08 აგვისტოს #1-19/333 გადაწყვეტილებით, შპს თბილისის დამოუკიდებელ უნივერსიტეტ „იბერიას“ უარი ეთქვა ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭებაზე.

წელს მასზე გასცა სამართალმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. შოთა ლაითაძე 2-დან 1.5 წლის განმალობაში სამართალმცოდნის მაგისტრის ხარისხს ეუფლებოდა იმ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელსაც ინსტიტუციური აკრედიტაციაც კი არ ჰქონდა.⁵⁷ აღნიშნულ გარემოებებზე იუსტიციის უმაღლეს საბჭოს საერთოდ არ უმსჯელია, ისე მიიღო გადაწყვეტილება შოთა ლაითაძის ჯერ კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ, ხოლო შემდეგ მისი შერჩევის მომდევნო ეტაპზე - 50 კანდიდატს შორის - გადაყვანის შესახებ, რაც ნათლად ადასტურებს იმ ხარვეზებს, რასაც ადგილი ჰქონდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საკუთარი უფლებამოსილებების შესრულებისას.

ამ ეტაპზე, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან დამაჯერებლად არ არის გაცემული პასუხი ყველა კანდიდატის მხრიდან იურიდიულ განათლებასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხზე და არსებობს სერიოზული კითხვის ნიშნები, რაც ზიანს აყენებს პროცესის მაღალი ხარისხით და კეთილსინდისიერად წარმართვას. აღნიშნული ჩავარდნა პირდაპირ ახდენს გავლენას იმ კანდიდატების კანონიერ ინტერესზე, რომლებიც 50 კანდიდატისაგან შემდგარი სიის მიღმა დარჩნენ, ვინაიდან საბჭოს მიერ კანდიდატების კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის სწორად დადგენის შემთხვევაში, შესაძლოა თავადაც მისცემოდათ შერჩევის მომდევნო ეტაპზე გადასვლისა და საბჭოს წინაშე გასაუბრებაზე წარდგომის შესაძლებლობა. სასამართლოს შიდა დამოუკიდებლობის კუთხით განსაკუთრებით დამაფიქრებელია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის ორ კანდიდატთან და ამავდროულად მოქმედ მოსამართლესთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებული ის გადაწყვეტილებები, რომლებიც შეეხებოდა მათ მიერ მიღებული უმაღლესი იურიდიული განათლებისა და მისი მაგისტრის ხარისხთან გათანაბრების საკითხს. გამოიკვეთა, რომ ორივე გადაწყვეტილება უჩვეულოდ სწრაფად არის მიღებული, ხოლო მათგან ერთი გადაწყვეტილება კი ამავდროულად სრულიად დაუსაბუთებელია. სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს რამდენიმე სხვა კანდიდატთან დაკავშირებით ინფორმაციის შესწავლას და მათთან დაკავშირებით ხარვეზების გამოკვეთის შემთხვევაში, საზოგადოებას ინფორმაციას მოგვიანებით მივაწვდით.

⁵⁷ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, „2010 წლის 15 ივლისიდან შპს დავით გურამიშვილის სახელობის ქართულ-უკრაინულ საერთაშორისო უნივერსიტეტ „იბერიას“ შეეცვალა საფირმო სახელწოდება და ეწოდა შპს დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „იბერია“. სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს 2009 წლის 30 დეკემბრის #130/ს გადაწყვეტილებით, შპს დავით გურამიშვილის სახელობის ქართულ-უკრაინულ საერთაშორისო უნივერსიტეტ „იბერიას“ მიენიჭა ინსტიტუციური აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

2. პირველი ფარული კენჭისყრა და ე.წ. გრძელი სიის ფორმირება

პროცესის მომდევნო ეტაპზე, 137 კანდიდატიდან⁵⁸ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ფარული კენჭისყრით უნდა გამოეყვლინა 50 კანდიდატი, რომელიც გადავიდოდა შერჩევის შემდგომ ეტაპზე. კენჭისყრა მიმდინარე წლის 20 ივნისს შედგა. უმაღლეს საბჭოში გამართულმა პირველმა ფარულმა კენჭისყრამ გამოავლინა რიგი პრობლემები, რაც საფრთხეს უქმნიდა პროცესის მაღალი სტანდარტებით წარმართვას.

მიმდინარე წლის 1 მაისს მიღებული კანონით,⁵⁹ საბჭოს წევრებმა მოსამართლეობის კანდიდატები თითოეულ ეტაპზე კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებით უნდა შეარჩიონ. აღნიშნული შეხება კანდიდატების ე.წ. გრძელი სიის ფორმირებასაც. პირველი ფარული კენჭისყრისათვის კანონში ამის უზრუნველსაყოფად რაიმე მექანიზმი არ ჩადებულა, თუმცა მიეთითა, რომ საბჭო ამ პროცესს წარმართავს მის მიერ განსაზღვრული პროცედურით. აღსანიშნავია, რომ საბჭოს მიერ არ განსაზღვრულა პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფდა მოსამართლეების შერჩევას კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმებზე დაყრდნობით. აღნიშნულმა ვითარებამ კი შექმნა გარემო, სადაც შესაძლებელი გახდა პროცედურას გამოთიშვოდა კანდიდატი, რომელიც კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებით სხვებს გადაწონიდა.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის მიზნით იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გამართულმა პირველმა ფარულმა კენჭისყრამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საკანონმდებლო ჩარჩოს სისუსტეს და გამოავლინა, თუ რა გამოწვევებია პრაქტიკაში.

⁵⁸ რეგისტრირებული კანდიდატებიდან 2-მა ამ ეტაპზე მოხსნა საკუთარი კანდიდატურა.

⁵⁹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები. მითითებული მუხლის მე-6 პუნქტი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შერჩევის ყველა ეტაპზე ავალდებულებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების გამოყენებას და უთითებს: „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი კანდიდატების შერჩევისას ხელმძღვანელობენ ამ კანონის 35¹ მუხლის პირველი და მე-3–მე-14 პუნქტებით განსაზღვრული კრიტერიუმებით.“ ხოლო, 34¹ მუხლის მე-7 პუნქტი საუბრობს კონკრეტული პროცედურის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან განსაზღვრაზე: „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და საჩივრის განხილვის ვადების გასვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, თავის მიერ განსაზღვრული პროცედურით ატარებს ფარულ კენჭისყრას კანდიდატის შემდგომ ეტაპზე გადაყვანის თაობაზე.“

20 ივნისის ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრი, რომელთაგან თითოეულს ჰქონდა 1 ბიულეტენი და 20 ხმა (გამოცხადებული ვაკანსიის ოდენობის შესაბამისად). ბიულეტენებისა და მიცემული ხმების დათვლის პროცესზე დაკვირვებამ გამოავლინა 13-დან 10 ბიულეტენი, რომელიც შემოხაზული იყო ერთნაირი სქემითა და დამთხვევების ძალიან მაღალი ხარისხით. კერძოდ:

- გამოვლინდა 4 ბიულეტენი, სადაც ჯამში 137 კანდიდატიდან ზუსტად 20 ერთი და იგივე კანდიდატი იყო შემოხაზული;
- გამოვლინდა სხვა 3 ბიულეტენი, სადაც ჯამში 137 კანდიდატიდან შემოხაზული იყო სხვა ზუსტად 20 ერთი და იგივე კანდიდატი (და არა ისინი, ვინც პირველ პუნქტში ნახსენებ 4 ბიულეტენში იყო შემოხაზული);
- გამოვლინდა სხვა 2 ბიულეტენი, სადაც შემოხაზული იყო მეორე პუნქტში მითითებულ 3 ბიულეტენში შემოხაზული 15 კანდიდატი და კიდევ სხვა 5 კანდიდატი;
- გამოვლინდა სხვა 1 ბიულეტენი, სადაც შემოხაზული იყო პირველ პუნქტში მითითებულ 4 ბიულეტენში შემოხაზული 15 კანდიდატი და მესამე პუნქტში მითითებულ 2 ბიულეტენში შემოხაზული 5 კანდიდატი.

მოცემული 10 ბიულეტენის ჯამში 5 ხმა მიიღო 30-მა კანდიდატმა, 4 ხმა - 5-მა კანდიდატმა, ხოლო 3 ხმა - 10-მა კანდიდატმა (სულ 45 კანდიდატი). ყველა მათგანი გადავიდა შერჩევის მომდევნო ეტაპზე. 10 ბიულეტენიდან არც ერთში არ ყოფილა შემოხაზული ერთი კანდიდატიც კი, რომელიც ვერ გადავიდა შერჩევის მომდევნო ეტაპზე.

დანარჩენ 3 ბიულეტენში ამ ხარისხის დამთხვევა არ გამოვლენილა და მათში შემოხაზული მხოლოდ 5 კანდიდატი, რომელსაც დარჩენილი 10 ბიულეტენიდან არც ერთი ხმა არ მიუღია, გადავიდა შემდეგ ეტაპზე. 3 ბიულეტენის ფარგლებში დამთხვევების ხარისხი ისეთივე მაღალი არ ყოფილა, კერძოდ:

- პირველ და მეორე ბიულეტენს შორის ემთხვევა 20-დან 6 კანდიდატი;
- პირველ და მესამე ბიულეტენს შორის ემთხვევა 20-დან 11 კანდიდატი;
- მეორე და მესამე ბიულეტენს შორის ემთხვევა 20-დან 10 კანდიდატი.

ჯამში სამივე ბიულეტენის ფარგლებში შემოხაზული იყო სულ 30 კანდიდატი, რომელთაგან 18 შემდეგ ეტაპზე გადავიდა, ხოლო 12 - ვერ გადავიდა. ამათგან, 3-ივე ბიულეტენის ფარგლებში სრულად დაემთხვა 6 კანდიდატი.

ზემოაღნიშნულ 10 ბიულეტენს შორის ასეთი მაღალი ხარისხის დამთხვევამ

კითხვები გააჩინა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შერჩევის ამ ეტაპისათვის კანდიდატების კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებით შეფასების მექანიზმი არ განსაზღვრულა მაშინ, როდესაც საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი აღიარებს საქართველოს ყველა მოქალაქის უფლებას დაიკავოს საჯარო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ფარული კენჭისყრის შედეგები სახალხო დამცველმა გამოაქვეყნა და ის ხელმისაწვდომი გახადა ყველა დაინტერესებული პირისათვის.

ცალსახაა, რომ რეგისტრირებულ კანდიდატთა ფარული კენჭისყრით 50-მდე დაყვანის პროცედურა შეიცავს თვითნებური გადაწყვეტილებების მიღების რისკებს და სრულიად არაეფექტურია კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების ნიშნით საუკეთესო კანდიდატების გამოსავლენად. ფარული კენჭისყრა დაბრკოლებას წარმოადგენს გამჭვირვალობის თვალსაზრისითაც. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მოსაზრებით, „სასამართლო სისტემის ადმინისტრირებაში მართლმსაჯულების საბჭოს მნიშვნელოვანი ჩართულობის პერსპექტივის გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ საბჭოს მიერ განხორციელებული მოქმედებების გამჭვირვალობა. გამჭვირვალება არის ძირითადი ფაქტორი იმ ნდობაში, რომელიც მოქალაქეებს აქვთ სასამართლო სისტემის ფუნქციონირებისადმი და წარმოადგენს გარანტიას პოლიტიკური გავლენის საფრთხის ან მართლმსაჯულების შიგნით პირადი ინტერესის გატარების, პირადი პროტექციისა და ქრონიზმის⁶⁰ წინააღმდეგ.“⁶¹ ე.წ. გრძელი სიის ფარულად ფორმირების პროცესმა აჩვენა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ერთი ნაწილის ურთიერთ შეთანხმებული და კოორდინირებული საქმიანობა კონკრეტული გადაწყვეტილებების მისაღებად, რომელიც, დასაბუთების არარსებობისა და გასაჩივრების შეუძლებლობის პირობებში, შესაძლოა პირადი ინტერესებით ყოფილიყო ნაკარნახევი.

⁶⁰ მიკერძოება მეგობრებისა და ნდობით აღჭურვილი კოლეგებისადმი თანამდებობებზე დანიშვნისას ან სხვადასხვა პრივილეგიების განაწილებისას.

⁶¹ იხ. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა #10 (2007), „მართლმსაჯულების საბჭო საზოგადოების სამსახურში“, გვ.20. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://rm.coe.int/-ccje-10-2007-/1680747688>> [ბოლოს ნანახია: 18.09.19]

3. გასაუბრების მიმდინარეობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრება 2019 წლის 17 ივლისს დაიწყო და 15 აგვისტოს დასრულდა. გასაუბრება ტარდებოდა ყოველ სამუშაო დღეს⁶² და მოიცვა 49 კანდიდატი.⁶³

კანდიდატებთან გასაუბრების დაგეგმვა დინამიურ რეჟიმში მიმდინარეობდა. თავდაპირველად საბჭომ 1 სამუშაო დღის განმავლობაში 5 კანდიდატის მოსმენის გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა აღნიშნული გეგმა ვერ განხორციელდა და პირველი სამუშაო დღის განმავლობაში მხოლოდ 3 კანდიდატის მოსმენა გახდა შესაძლებელი. მოსმენები ამ სახით 8 სამუშაო დღის განმავლობაში გაგრძელდა. 29 ივლისიდან კი საბჭო დღეში 2 კანდიდატს უსმენდა.⁶⁴ საბჭოში მწვავე დაპირისპირების საგანი გახდა სამუშაო დღის განმავლობაში გასაუბრებების ხანგრძლივობა და მისი დასრულების დრო. 17 ივლისიდან 26 ივლისის ჩათვლით გასაუბრებები იწყებოდა დაახლოებით 10:00 საათზე და სრულდებოდა 20:00-დან 22:00 საათამდე დროის შუალედში, ხოლო დღის განმავლობაში გათვალისწინებული იყო მცირე, რამდენიმე წუთიანი შესვენება. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრები ანა დოლიძე და ნაზი ჯანუხაშვილი უთითებდნენ, რომ ვინაიდან მათ ჰყავთ მცირეწლოვანი შვილები, მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრების ყოველდღიურ რეჟიმში, არასამუშაო საათებში მიმდინარეობის პრაქტიკა მათ დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებდათ სქესის ნიშნით. საბოლოოდ, ეს პრაქტიკა საბჭომ შეცვალა. ნათელია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ფორსირებულ რეჟიმში ფუნქციონირებდა მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრებების გამო. თუმცა, ამ დროსაც არსებობს რიგი გარემოებები, რაც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული. ეს გარემოებები მშობლის ანდა ზრუნვის განმახორციელებელი პირების საჭიროების გათვალისწინების გარდა მოიცავს თავად პროცესის სხვა მონაწილეთა ინტერესების დაცვის საჭიროებასაც. დღის განმავლობაში გასაუბრებების 12 საათიან რეჟიმში წარმართვა ართულებს პროცესის ეფექტურობას, ამასთან, ამან შეიძლება გამოიწვიოს გარკვეულწილად არათანაბარი დამოკიდებულებაც კანდიდატების მიმართ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გასაუბრებების გვიან ღამით ჩატარებას მეტი ზიანი მოჰქონდა მთლიანად პროცესისათვის, ვიდრე სარგებელი.

გასაუბრებები ძირითადად მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში და კანდიდატებს ეძლეოდათ საშუალება შეხედულებისამებრ, დროში შეზღუდვის გარეშე გაეცათ

⁶² გასაუბრება არ ჩატარებულა მხოლოდ 6 აგვისტოს.

⁶³ ამირან ძაბუნაძემ გასაუბრებამდე მოხსნა კანდიდატურა.

⁶⁴ გამონაკლისი იყო გასაუბრების ბოლო დღე, 15 აგვისტო, როდესაც საბჭომ გასაუბრება 1 კანდიდატთან გამართა.

პასუხი დასმულ შეკითხვებზე. თითოეულ კანდიდატთან გასაუბრება გრძელდებოდა საშუალოდ 3 – 4 საათით.

პროცესის განმავლობაში თვალსაჩინო იყო საბჭოს ცალკეული მოსამართლე წევრების არაკორექტული დამოკიდებულება არამოსამართლე წევრების - ნაზი ჯანუაშვილისა და ანა დოლიძის მიმართ. მათ ხშირად აწყვეტინებდნენ შეკითხვებს და წამოძახილებით უშლიდნენ ხელს საქმიანობის განხორციელებაში. ამის მიუხედავად, არამოსამართლე წევრები ახერხებდნენ კანდიდატებისადმი სასურველი შეკითხვების დასმას. როდესაც საბჭოს არამოსამართლე წევრების მხრიდან ისმებოდა შეკითხვები სასამართლო სისტემაში ე.წ. კლანის არსებობასთან დაკავშირებით, საბჭოს მოსამართლე წევრების მხრიდან⁶⁵ თითქმის ყოველთვის ვლინდებოდა მომეტებული აგრესია. ანალოგიურ საკითხზე არამოსამართლე წევრების მიმართ აგრესია და ცინიკური დამოკიდებულება გამოავლინა ორმა კანდიდატმა - ვლადიმერ კაკაბაძემ (მოქმედი მოსამართლე) და პაატა შავაძემ (მოქმედი ადვოკატი). ვლადიმერ კაკაბაძე მოცემული მომენტისათვის პარლამენტისადმი წარდგენილ კანდიდატთა სიაშია. სასამართლო სისტემაში ე.წ. კლანის არსებობის საკითხზე კრიტიკული პოზიცია ჰქონდათ თამარ ლალიაშვილს და როინ მიგრიაულს (მოქმედი ადვოკატი). ამ ორმა კანდიდატმა მიიღო ყველაზე დაბალი შეფასება 50 კანდიდატს შორის, ასევე, ყველაზე მეტი უარყოფითი შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმში.

4. კანდიდატების შეფასება

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის მიმდინარე პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სულ 13 წევრი მონაწილეობდა. მიუხედავად იმისა, რომ კანონი⁶⁶ საბჭოს თითოეულ წევრს ავალდებულებს კანდიდატების შეფასებას, ისინი მხოლოდ 12-მა მათგანმა შეაფასა.⁶⁷ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები ქულებით (მაქსიმუმ 100 ქულა) აფასებენ კანდიდატების კომპეტენციას. ცალ-ცალკე ფორმებია შემუშავებული სამოსამართლო გამოცდილების მქონე და არმქონე

⁶⁵ ძირითადად საუბარია სერგო მეთოფიშვილზე, ვასილ მშვენიერაძეზე, ირაკლი შენგელიასა და რეზო ნადარაიაზე.

⁶⁶ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-11 პუნქტი, რომლის მიხედვითაც „კანდიდატების მოსმენის დასრულების შემდეგ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უახლოეს სხდომამდე საბჭოს წევრები სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატს აფასებენ ქულებით [...]“.

⁶⁷ კანდიდატების მოსმენა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე წლის 15 აგვისტოს დასრულდა. ამავე დღეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით, „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების გადაწყვეტილებით, ორი კვირის განმავლობაში, კანონის შესაბამისად, წევრები კანდიდატებს შეაფასებენ, კენჭისყრის პროცედურა კი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უახლოეს სხდომაზე გაიმართება. სხდომის თარიღის შესახებ ინფორმაცია ცნობილი გახდება აგვისტოს ბოლოს და ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდება.“ <<http://hcoj.gov.ge/ge/kandidatebis-mosmena/3507>> საბჭოს მომდევნო სხდომა 4 სექტემბერს გაიმართა, თუმცა მის შესახებ ინფორმაცია კანონის მოთხოვნათა დარღვევით, 2 სექტემბერს, სამუშაო დღის დასრულების შემდეგ გამოქვეყნდა.

კანდიდატების შესაფასებლად. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები კანდიდატებს აფასებენ კეთილსინდისიერების კრიტერიუმითაც. კანონის შესაბამისად, ამ კრიტერიუმში კანდიდატები ფასდებიან სამიდან ერთ-ერთი შემდეგი დასკვნით: „კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს“, „კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს“ და „კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.“

მიუხედავად იმისა, რომ კანონში არ არის მითითებული კანდიდატების შეფასებისას შემფასებელთა ვინაობის კონფიდენციალურობის თაობაზე,⁶⁸ იუსტიციის უმაღლესი საბჭო შემფასებელთა ვინაობას კონფიდენციალურად მიიჩნევს. შესაბამისად, საბჭოს მხრიდან ჩვენთვის მოწოდებულ შეფასების ფორმებში შემფასებლების ვინაობა საერთოდ არ არის მითითებული. მიგვაჩნია, რომ საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება და ზოგადად მსგავსი პრაქტიკა ეწინააღმდეგება კანონს და არ იძლევა სუბიექტური შეფასებების ინდივიდუალურ დონეზე გამოვლენის და მასზე მსჯელობის შესაძლებლობასაც კი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12-ივე წევრმა 50 კანდიდატიდან მხოლოდ 6 მიიჩნია ისეთად, რომელიც სრულად აკმაყოფილებდა კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ესენია: ბერეკაშვილი დიანა, იაშვილი ალექსანდრე, კოპალეიშვილი მაია, მიქაბერიძე ლევან, ჩანტლაძე მადი, წულაძე ალექსანდრე. მათგან მხოლოდ 2 წარედგინა საქართველოს პარლამენტს (მიქაბერიძე ლევან, წულაძე ალექსანდრე). კეთილსინდისიერების კრიტერიუმში ყველაზე ცუდი შეფასება 2-მა კანდიდატმა მიიღო. კერძოდ, საბჭოს 12 წევრიდან მხოლოდ 4-მა მიიჩნია, რომ როინ მიგრიაული სრულად აკმაყოფილებდა კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. საბჭოს 12 წევრიდან მხოლოდ 6-მა მიიჩნია, რომ თამარ ლალიაშვილი სრულად აკმაყოფილებდა კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

ისევე როგორც კეთილსინდისიერების, ასევე კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას, მინიჭებული ქულები და შეფასება არ საბუთდება. ამ პირობებში, ბუნებრივია იზრდება შეფასებით, მათ შორის ქულებით მანიპულირების რისკი, ის უფრო მეტად პირობით აღმნიშვნელად რჩება და კარგავს კანდიდატების კეთილსინდისიერებისა თუ კომპეტენტურობის შეფასების ობიექტურ მნიშვნელობას სწორედ დასაბუთების არარსებობის გამო.

სახალხო დამცველის აპარატმა გააანალიზა საბჭოს თითოეული წევრის მიერ თითოეულ კანდიდატთან დაკავშირებით შედგენილი შეფასების ფორმა. 12 წევრის მიერ 48 კანდიდატთან მიმართებით შედგენილი შეფასების ფორმების ჯამური რაოდენობა იყო 576. 12 შემფასებლის ფარგლებში, გამოიკვეთა შემთხვევები,

⁶⁸ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-11 პუნქტი.

როდესაც საკმაოდ დიდია სხვაობა კანდიდატისათვის დაწერილ ქულათა შორის. კერძოდ, ქვემოთ გამოყოფილია ისეთი შემთხვევები, სადაც უმაღლეს და უდაბლეს ქულათა შორის სხვაობა 30 ერთეული ან მეტია:

კანდიდატი	შეფასებისას მიღებული უმაღლესი ქულა 100-იდან	შეფასებისას მიღებული უდაბლესი ქულა 100-იდან	სხვაობა უმაღლეს და უდაბლეს ქულათა შორის
შალვა თადუმაძე	98	41	57
მამუკა ვასაძე	94	42	52
მირანდა ერემაძე	95	45	50
ვლადიმერ კაკაბაძე	95	45	50
ზურაბ აზნაურაშვილი	84	36	48
თამარ ალანია	97	49	48
პაატა შავაძე	80	42	38
გიორგი მიქაუტაძე	98	62	36
კახაბერ სოფრომაძე	87	55	32
გოჩა ჯეირანაშვილი	95	63	32
როინ მიგრიაული	90	59	31
თამარ ბურჯანაძე	96	66	30

კანდიდატებისათვის დაწერილ მინიმალურ და მაქსიმალურ ქულებს შორის ასეთი მაღალი სხვაობა (30 ქულიდან 57 ქულამდე) ხაზს უსვამს შეფასების სისტემის სისუსტეს და აჩენს სერიოზულ კითხვებს. საინტერესოა ასევე, თუ რა განაპირობებს საბჭოს წევრების მხრიდან ერთი და იგივე კანდიდატის ასეთ განსხვავებულ შეფასებებს, ხომ არ არის ეს დაკავშირებული ქულების დაუსაბუთებლად დაწერასთან, შემფასებელთა ანონიმურობასთან, შემფასებელთა კვალიფიკაციასა თუ კეთილსინდისიერებასთან, კრიტიკიუმების ბუნდოვანებასთან და დეტალური ინსტრუქციების არარსებობასთან. შესაძლოა მიზეზები კომპლექსური იყოს და სახეზე ერთდროულად გვქონდეს ყველა ან რამდენიმე გარემოება, რაც საჭიროებს ფართო მსჯელობას და გამოკვეთილ პრობლემებზე რეაგირებას, მათ შორის კანონმდებლების მხრიდან. ცალსახაა, რომ ზემოთ მითითებული კანდიდატების კომპეტენტურობის თაობაზე საბჭოს წევრების შეფასებები ყველაზე წინააღმდეგობრივი იყო.

12 შემფასებლის ფარგლებში, რამდენიმე კანდიდატთან დაკავშირებით დაფიქსირდა მინიმალურ და მაქსიმალურ ქულათა შორის სიახლოვეც. ქვემოთ გამოვყოფთ შემთხვევებს, სადაც 12 შემფასებლის ფარგლებში მინიმალურ და მაქსიმალურ ქულათა სხვაობა არ აღემატებოდა 10 ერთეულს:

კანდიდატი	შეფასებისას მიღებული უმაღლესი ქულა 100-იდან	შეფასებისას მიღებული უდაბლესი ქულა 100-იდან	სხვაობა უმაღლეს და უდაბლეს ქულათა შორის
თამარ ზამბახიძე	87	84	3
შოთა ლაითაძე	80	73	7
ნუგზარ სხირტლაძე	94	87	7
ლალი ფაფიაშვილი	94	87	7
გიორგი თევდორაშვილი	79	71	8
ლავრენტი მალაქელიძე	92	84	8
მადი ჩანტლაძე	90	82	8
მაია ვაჩაძე	99	89	10
გიორგი ტყავაძე	88	78	10

ქულების შესახებ მონაცემებისა და შეფასების ფორმების გაცნობამ მოგვცა შესაძლებლობა გამოგვეკვეტა თითოეულ კანდიდატთან დაკავშირებით 10 შემფასებელი, რომელთა მიერ დაწერილი ქულები ძალიან ახლოს არის ერთმანეთთან. ზოგიერთ შემთხვევაში ხერხდება ქულების კონკრეტული ზღვრების გამოკვეთა და წამოიჭრება შეკითხვა, ხომ არ იყო ის წინასწარ შეთანხმებული საბჭოს ამ წევრებს შორის. აღსანიშნავია, რომ 10 შემფასებელი ასევე ფიგურირებდა ე.წ. „გრძელი სიის“ ფორმირების პროცესში ჩატარებულ ფარულ კენჭისყრაში.

10 შემფასებლის ჯამში გამოიკვეთა როგორც უფრო მაღალი, ასევე შედარებით დაბალი რაოდენობის ქულათა ე.წ. კალათები, რომელთა ფარგლებშიც მათ კანდიდატებისათვის ქულები აქვთ დაწერილი. მაგალითისათვის, გამოვყოფთ რამდენიმე შემთხვევას:

კანდიდატი	10 შემფასებლის მიერ შეფასდა ქულათა მოცემულ ფარგლებში
-----------	--

გიორგი მიქაუტაძე	95-98
გოჩა ჯეირანაშვილი	90-95
ლაშა ქოჩიაშვილი	90-94
ნინო ქადაგიძე	90-95
ლალი ფაფიაშვილი	90-94
ნუგზარ სხირტლაძე	90-94
ლევან მიქაბერიძე	91-94
გენადი მაკარიძე	90-93
ვლადიმერ კაკაბაძე	90-95
მამუკა ვასაძე	90-94
მირანდა ერემაძე	92-95
მერაბ გაბინაშვილი	91-95
ილონა თოდუა	85-90
მერაბ ლომიძე	85-90
თეა ძიმისტარაშვილი	87-90
უჩა თოდუა	81-85
დიანა ბერეკაშვილი	75-80

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მონაცემები დამაფიქრებელია და საჭიროებს დისკუსიას არსებული გამოწვევების რეალურად შესაფასებლად. ცხადია ისიც, რომ ფარული კენჭისყრა ვერ ასრულებს საბჭოს წევრების შიდა თუ გარე გავლენისაგან დაცვის ფუნქციას და დიდ დაბრკოლებას ქმნის პროცესის გამჭვირვალედ წარმართვისათვის.

5. ფარული კენჭისყრით 20 კანდიდატის შერჩევა და პარლამენტისათვის წარდგენა

შერჩევის პროცესის მომდევნო ეტაპი გულისხმობს კანდიდატთა ე.წ. გრძელი სიის დაყვანას საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე გამოცხადებული ვაკანსიის რაოდენობამდე, კერძოდ, 48 კანდიდატისაგან⁶⁹ შემდგარი სიის 20 კანდიდატამდე დაყვანას.⁷⁰ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სხდომა მიმდინარე წლის 4 სექტემბერს გაიმართა და მასში მონაწილეობა მიიღო საბჭოს 12-მა წევრმა.⁷¹ სახალხო დამცველის აპარატი აკვირდებოდა კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცესს. კენჭისყრის შედეგებით, 20 კანდიდატი მომდევნო ეტაპზე გადავიდა მინიმუმ 7 და მაქსიმუმ 11 ხმით. კერძოდ, 2-მა კანდიდატმა მიიღო 11 ხმა, 3-მა კანდიდატმა მიიღო 10 ხმა, 4-მა კანდიდატმა

⁶⁹ 50 კანდიდატისაგან შემდგარი სია შერჩევის პროცესის ამ ეტაპზე 48-მდე შემცირდა, ვინაიდან 1-მა კანდიდატმა გასაუბრებამდე მოხსნა საკუთარი კანდიდატურა, მეორემ კი - გასაუბრების შემდეგ.

⁷⁰ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-12 პუნქტი.

⁷¹ სხდომას არ დასწრებია საბჭოს არამოსამართლე წევრი ანა დოლიძე.

მიიღო 9 ხმა, 6-მა კანდიდატმა მიიღო 8 ხმა, ხოლო 5-მა კანდიდატმა მიიღო 7 ხმა. **6 და 5 ხმა არ მიუღია არც ერთ კანდიდატს**, 4 ხმა მიიღო 3-მა კანდიდატმა, 3 ხმა მიიღო 5-მა კანდიდატმა, 2 ხმა მიიღო 8 კანდიდატმა, 1 ხმა მიიღო 7-მა კანდიდატმა, ხოლო 5 კანდიდატს არც ერთი ხმა არ მიუღია.

მიღებული ხმების რაოდენობა	კანდიდატთა რაოდენობა
11	2
10	3
9	4
8	6
7	5
6	0
5	0
4	3
3	5
2	8
1	7
0	5

ვინაიდან პირველ ფარულ კენჭისყრაზე⁷² ბიულეტენების მსგავსი სქემით შემოხაზვა ფართო საზოგადოებრივი ყურადღების საგანი გახდა, მეორე ფარულ კენჭისყრაზე⁷³ ამავე ხარისხის დამთხვევა არ გამოვლენილა, რაც მოსალოდნელიც იყო, თუმცა მაინც დარჩა გარკვეული წინასწარ შემუშავებული სტრატეგიებით მოქმედების შთაბეჭდილება ხმის მიცემისას. კერძოდ, სახალხო დამცველის აპარატმა ბიულეტენების მონაცემების ანალიზისას დააფიქსირა, რომ 12 ბიულეტენის ჯამში 10 მათგანის მონაცემები ერთმანეთთან უფრო დაახლოებული იყო. კერძოდ, ხმის დათვლისას ბიულეტენის რიგითობის მიხედვით, მე-2 და მე-3 ბიულეტენს შორის 20-დან დაემთხვა 17 კანდიდატი, ასევე 20-დან 17 კანდიდატი დაემთხვა მე-5 და მე-6 ბიულეტენებს შორის. მე-4 და მე-11 ბიულეტენს შორის დაემთხვა 16 კანდიდატი. ასევე 16 კანდიდატი დაემთხვა მე-9 და მე-12 ბიულეტენებს შორის. მე-10 ბიულეტენი 15 კანდიდატით ემთხვეოდა მე-5 და მე-6 ბიულეტენების წყვილს, ხოლო 1-ლი ბიულეტენი 13 კანდიდატით დაემთხვა მე-5, მე-6 და მე-11 ბიულეტენებს. დანარჩენ 2 ბიულეტენში ამ ხარისხის დამთხვევები არ აღმოჩნდა. საინტერესოა კენჭისყრის შედეგები ზემოთ ნახსენები სწორედ ამ 10 ბიულეტენის ჯამში.

⁷² იგულისხმება რეგისტრირებული კანდიდატების 50-მდე დაყვანის ეტაპი.

⁷³ იგულისხმება 50 კანდიდატის 20-მდე დაყვანის ეტაპი.

გამოიკვეთა, რომ 10 ბიულეტენის ჯამში, კანდიდატებს არ მიუღიათ ხმათა ისეთი რაოდენობა, რომელიც დანარჩენი 2 ბიულეტენიდან დამთხვევის შემთხვევაში მათ შერჩევის მომდევნო ეტაპზე გადაიყვანდა. კერძოდ, 10 ბიულეტენის ჯამში, არც ერთ კანდიდატს არ მიუღია 6 ან 5 ხმა, მაშინ როდესაც შერჩევის მომდევნო ეტაპზე გადასასვლელად ხმათა საჭირო მინიმალურ რაოდენობად 7 ხმა დაფიქსირდა, ხოლო 4 ხმა მიიღო ერთადერთმა კანდიდატმა. 10 ბიულეტენის ჯამში შეიმჩნევა 3, 2 და 1 ხმის მიცემა ჯამში 18 კანდიდატისათვის, რომლებიც მომდევნო ეტაპზე ვერ გადავიდნენ. 10 ბიულეტენის ჯამში სულ შემოხაზული იყო 48-დან 38 კანდიდატი, საიდანაც 18 მომდევნო ეტაპზე საერთოდ ვერ გადავიდა. 10 ბიულეტენის ჯამში 20-ივე კანდიდატი გადავიდა მომდევნო ეტაპზე ისე, რომ სხვა ბიულეტენების დამთხვევა მათ არ დაჭირვებიათ.

კენჭისყრის შედეგების ანალიზისას დაფიქსირდა საბჭოს 10 წევრის მხრიდან ხმათა მაღალი რაოდენობის აკუმულირება 20 კანდიდატთან დაკავშირებით, კანდიდატებისათვის საშუალო რაოდენობის ხმების მიცემაზე სრულიად უარის თქმა და ხმათა დაბალი რაოდენობის განაწილება კანდიდატთა მაღალ რაოდენობაზე. 10 წევრის მხრიდან ამ სტრატეგიით მოქმედებამ და კანდიდატებისათვის ხმათა საშუალო რაოდენობის მიუცემლობამ გამოიწვია საბჭოს დანარჩენი წევრების ხმათა თანხვედრით კანდიდატების მომდევნო ეტაპზე გადასვლის შემთხვევები.

მონაცემების ანალიზიდან ირკვევა, რომ საბჭოს 10-მა წევრმა ჯამური 200 ხმიდან⁷⁴ 164 ხმა გამოიყენა 20 კანდიდატის მხარდასაჭერად, რითაც გარანტირებული გახდა მომდევნო ეტაპზე მათი გადასვლა, ხოლო დანარჩენი 36 ხმა გაიფანტა ჯამში 18 კანდიდატზე, რომელთაც არავითარი შანსი აღარ დარჩათ მომდევნო ეტაპზე გადასასვლელად, საბჭოს დანარჩენი წევრებისაგან ხმების დამატების შემთხვევაშიც. საბჭოს 10 წევრის ჯამში ხმების განაწილება წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ხმათა რაოდენობა	კანდიდატების რაოდენობა	კანდიდატების ვინაობა
10 ხმა	2	გიორგი მიქაუტაძე, მაია ვაჩაძე
9 ხმა	5	მერაბ გაბინაშვილი, შოთა გეწაძე, შალვა თაღუმაძე, ნუგზარ სხირტლაძე, ქეთევან ცინცაძე
8 ხმა	8	ალანია თამარ, ერემაძე მირანდა, ვასაძე მამუკა, ზამბახიძე თამარ, თავაძე ზაზა, ფაფიაშვილი ლალი, ქადაგიძე ნინო, ჯეირანაშვილი გოჩა

⁷⁴ შერჩევის ამ ეტაპზე საბჭოს თითოეულ წევრს ჰქონდა 20 ხმა.

7 ხმა	5	კაკაბაძე ვლადიმერ, სილაგაძე პაატა, ქოჩიაშვილი ლაშა, წულაძე ალექსანდრე
6 ხმა	0	
5 ხმა	0	
4 ხმა	1	სანდოძე ნინო
3 ხმა	4	ბურჯანაძე თამარ, ლომიძე მერაბ, ტყავაძე გიორგი, ძიმისტარაშვილი თეა
2 ხმა	7	გოგიაშვილი გიორგი, თოდუა ილონა, თოთოსაშვილი გოგიტა, იაშვილი ალექსანდრე, მარსაგიშვილი ნიკოლოზ, მაღლაკელიძე ლავრენტი, ჩანტლაძე მადი
1 ხმა	6	აზნაურაშვილი ზურაბ, თოდუა უჩა, კოპალეიშვილი მაია, მაკარიძე გენადი, მესხიშვილი ქეთევან; სოფრომაძე კახაბერ
0 ხმა	10	ბერეკაშვილი დიანა, გორგაძე გრიგოლ, თევდორაშვილი გიორგი, კვანტალიანი ნუნუ, ლაითაზე შოთა, ლალიაშვილი თამარ, მესხორაძე ლევან, მიგრიაული რიონ, შავაძე პაატა, შალიკაშვილი მორისი

საბოლოო ფარულ კენჭისყრაზე 20-ივე კანდიდატმა მიიღო საბჭოს წევრთა ხმების ორი მესამედი და წარდგენილ იქნა საქართველოს პარლამენტისათვის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად. აღნიშნული გადაწყვეტილება დასაბუთებული არ არის და არც სასამართლო ზედამხედველობას ექვემდებარება, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნის მიუხედავად. მაგალითად, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს განმარტებით, მართლმსაჯულების საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილება, რომელიც დაკავშირებულია მოსამართლეთა დანიშვნასთან, დაწინაურებასთან, უნდა შეიცავდეს მისი საფუძვლების განმარტებას და იყოს სასამართლო გადახედვის შესაძლებლობის ქვემდებარე. „ნამდვილად, მართლმსაჯულების საბჭოს დამოუკიდებლობა არ ნიშნავს, რომ იგი არის კანონს გარეთ და სასამართლო ზედამხედველობისგან დამოუკიდებელი.“⁷⁵

საინტერესოა, რა შეფასებები მიიღეს პარლამენტისათვის წარდგენილმა კანდიდატებმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისაგან კეთილსინდისიერების კრიტერიუმში. ირკვევა, რომ პარლამენტისადმი წარდგენილი 20 კანდიდატიდან

⁷⁵ იხ. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა #10 (2007), „მართლმსაჯულების საბჭო საზოგადოების სამსახურში“, გვ.9-10. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://rm.coe.int/-ccje-10-2007-/1680747688>> [ბოლოს ნანახია: 18.09.19]

მხოლოდ 2 კანდიდატი მიიჩნია საბჭოს ყველა წევრმა, როგორც კეთილსინდისიერების კრიტერიუმთან სრულ შესაბამისობაში მყოფი, 2 კანდიდატი საბჭოს 2-მა წევრმა მიიჩნია როგორც კეთილსინდისიერების კრიტერიუმთან სრულ შესაბამისობაში არმყოფი,⁷⁶ 9 კანდიდატი საბჭოს 1-მა წევრმა მიიჩნია, რომ არ აკმაყოფილებდა კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, 7 კანდიდატი საბჭოს 1-მა წევრმა მიიჩნია, რომ მხოლოდ აკმაყოფილებდა კეთილსინდისიერების (განსხვავებით „სრულად დაკმაყოფილების“ მოთხოვნისგან) კრიტერიუმს. ეს ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის ფორმით.

კანდიდატი ს რაოდ.	კანდიდატების ვინაობა	სრულად აკმაყოფილ ებს	აკმაყოფილ ებს	არ აკმაყოფ ილებს
2	ლევან მიქაბერიძე, ალექსანდრე წულაძე	12 ხმა	0	0
7	მირანდა ერემაძე, მათა ვაჩაძე, თამარ ზამბახიძე, ზაზა თავაძე, ნუგზარ სხირტლაძე, ლალი ფაფიაშვილი, ლაშა ქოჩიაშვილი	11 ხმა	1 ხმა	0
9	თამარ ალანია, მერაბ გაბინაშვილი, შოთა გეწაძე, შალვა თადემაძე, გიორგი მიქაუტაძე, პაატა სილაგაძე, ნინო ქადაგიძე, ქეთევან ცინცაძე, გოჩა ჯეირანაშვილი	11 ხმა	0	1 ხმა
2	მამუკა ვასაძე, ვლადიმერ კაკაბაძე	10 ხმა	1 ხმა	1 ხმა

6. კავშირი კანდიდატების შეფასებასა და შემდგომ კენჭისყრებს შორის

ჩვენთვის საინტერესო იყო გვეჩვენებოდა, რა გავლენა იქონია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ ქულებში გამოხატულმა შეფასებებმა მეორე ფარულ კენჭისყრაზე, როდესაც წევრებს 50 კანდიდატიდან უნდა შეერჩიათ 20 მათგანი. ვინაიდან 20-ივე ასევე წარედგინა საქართველოს პარლამენტს, ავტომატურად შეიძლება მსჯელობა ქულების კავშირთან ამ პროცესთან მიმართებაშიც. პროცესის ღიაობა, ღია კენჭისყრა საშუალებას მოგვცემდა გვეჩვენებოდა საბჭოს თითოეული წევრის ინდივიდუალური არჩევანი. მოცემული სისტემის ფარგლებში, საბჭოს წევრების მიერ კანდიდატებისათვის დაწერილ ქულებისა და შეფასების მონაცემებს შორის სიახლოვის გათვალისწინებით, მოვახერხეთ 10 შემფასებლის/წევრის იდენტიფიცირება და მათი მოქმედების შეფასება არა ინდივიდუალურ, არამედ სწორედ ჯგუფურ - 10 წევრის დონეზე. ბუნებრივია, პროცესის ღიაობა ყველა

⁷⁶ აქედან, 1-მა წევრმა მიიჩნია რომ კანდიდატი აკმაყოფილებდა კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ოღონდ არა სრულად, ხოლო მეორემ მიიჩნია, რომ კანდიდატი ამ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებდა.

ინდივიდუალური წევრის იდენტიფიცირების საშუალებას მოგვცემდა. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ შერჩევის ყველა ეტაპზე სახალხო დამცველის აპარატმა მოახერხა გამოეკვეთა 10 ბიულეტენი და შეფასების ფორმა, რომელთა მონაცემებიც უფრო დაახლოებულია ერთმანეთთან. შეგვიძლია მაღალი ალბათობით ვივარაუდოთ, რომ შერჩევის ყველა ეტაპზე გამოკვეთილი საბჭოს 10 წევრი/შემფასებელი არის წევრთა ერთი და იგივე ჯგუფი. არაერთი დამკვირვებელი უთითებს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არსებულ მწვავე შიდა უთანხმოებისა და დაპირისპირების შესახებ მოსამართლე და არამოსამართლე წევრების ორ ჯგუფს შორის. მათ შორის, ბოლო ასეთი დოკუმენტია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში.⁷⁷ რჩება შთაბეჭდილება, რომ საბჭოს აღნიშნული წევრები ჯგუფურად მოქმედებენ, ჯგუფურად იღებენ გადაწყვეტილებებს და მათი ჯგუფური თვითიდენტიფიკაცია საკმაოდ მყარია, რაც ინდივიდუალურ მოქმედებას და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის განცდას უკიდურესად ამცირებს.

საინტერესოა კანდიდატების მიერ მიღებული ქულების კორელაცია მათ შემდგომ ეტაპზე გადასვლასთან. გამოიკვეთა, რომ მომდევო ეტაპზე გადასული 20 კანდიდატიდან 5-ს არ ქონდა საუკეთესო შედეგები. დასაბუთების არარსებობისა და შემფასებელთა ანონიმურობის პირობებში, რასაკვირველია არსებობს ეჭვები ქულების თვითნებურად მინიჭებასთან დაკავშირებით და რთულია იმის თქმა, რომ ყველაზე მაღალი ქულების/შეფასების მქონე კანდიდატები სხვა კანდიდატებზე უკეთესები არიან კეთილსინდისიერებითა და კომპეტენტურობით. გადაწყვეტილებების დასაბუთება არაერთი საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნაა. საქართველოს კონტექსტში, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მისაღწევად, ვენეციის კომისია მოითხოვდა წინასწარ გამოქვეყნებულ კრიტერიუმებთან მიმართებაში საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთებას.⁷⁸ ვენეციის კომისიის მოსაზრებით, მიუხედავად წვრილმანი პროცედურების გაწერისა და წვრილმანი კრიტერიუმების გამოყენებისა, არ არსებობს შესაძლებლობა ინდივიდუალური კანდიდატისათვის, იცოდეს გადაწყვეტილების დასაბუთება და გაასაჩივროს ის.⁷⁹

⁷⁷ „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის პირველი ეტაპის ანგარიში“, გვ. 3, 5, 12, 26. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://www.osce.org/ka/odihr/429491?download=true>> [ბოლოს ნანახია: 20.09.19]

⁷⁸ ვენეციის კომისიის სასწრაფო მოსაზრება საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის საკითხზე, პარაგრაფი 36. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/30qSvpE>> [ბოლოს ნანახია: 18.09.19]

⁷⁹ იქვე, პარაგრაფი 37.

გამოიკვეთა, რომ მიუხედავად იმისა, რომ 10-მა წევრმა მაღალი ქულით შეაფასა კანდიდატი, ის საერთოდ ვერ გადავიდა მომდევნო ეტაპზე. მაგალითად, გენადი მაკარიძე 10 წევრის მიერ შეფასდა 90-დან 93 ქულამდე ფარგლებში და 10 წევრის მიერ მიცემული ქულებით, მე-16 რეიტინგულ ადგილზე მოხვდა, თუმცა საბოლოო ჯამში, ფარულ კენჭისყრაზე მან 10 წევრიდან, სადაც თითოეულს 20 ხმა, ხოლო ჯამში 200 ხმა ქონდათ, მხოლოდ 1 ხმა მიიღო. მეორე მაგალითად მოვიყვანთ თამარ ზამბახიძის შემთხვევას, რომელმაც 10-დან თითოეული შემფასებლისაგან დააგროვა ქულათა გაცილებით ნაკლები რაოდენობა - 84-დან 87 ქულამდე, თუმცა მეორე ფარულ კენჭისყრაზე 10-დან 8 წევრის ხმა მიიღო. გოგიტა თოთოსაშვილმა 10-დან თითოეული შემფასებლისგან 76-დან 84 ქულამდე მიიღო, თუმცა საბოლოოდ მეორე ფარულ კენჭისყრაზე 2 ხმა დააგროვა 200-დან. თეა ძიმისტარაშვილმა, რომელმაც 10-დან თითოეული შემფასებლისაგან დააგროვა 85-დან 90 ქულამდე და ამ 10 წევრის ჯამში მიღებული ქულებით 21-ე ადგილზე იყო, მიიღო 3 ხმა.

ბუნებრივია, შეფასების მოქმედი სისტემის ფარგლებში, როდესაც მინიჭებული ქულა არ საბუთდება, გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ რაც უფრო მაღალია ქულა, მით უფრო კომპეტენტურია კანდიდატი, თუმცა ამ პირობებშიც ნამდვილად გასაკვირია საბჭოს იმ 10 წევრის გადაწყვეტილება, რომლებმაც მაღალი ქულებით შეაფასეს კანდიდატი, მაგრამ ხმა არ მისცეს მას, ან პირიქით, ნაკლები ქულებით შეაფასეს კანდიდატი, თუმცა ხმა მისცეს მას.

7. ინტერესთა კონფლიქტი

ახალი საკანონმდებლო ცვლილებებით ინტერესთა კონფლიქტის სრულყოფილად მოწესრიგება ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის, ვენეციის კომისიის, სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთ-ერთი ძირითადი რეკომენდაცია იყო. საუბარია გადაწყვეტილების მიმღებებს - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებსა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში მონაწილე პირებს შორის ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვაზე. საბოლოოდ, პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებებით,⁸⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესში უზრუნველყოფილ იქნა იმაზე დაბალი სტანდარტი, ვიდრე ეს დადგენილია პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეთა შერჩევის პროცესში.⁸¹ კერძოდ, პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეთა ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში ინტერესთა შეუთავსებლობა გულისხმობს ნებისმიერ გარემოებას, რომელიც საეჭვოს ხდის საბჭოს წევრის ობიექტურობას,

⁸⁰ 2019 წლის 1 მაისს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებები.

⁸¹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35³ მუხლი ადგენს უფრო მაღალ სტანდარტს, ვიდრე იმავე კანონის 34¹ მუხლის მე-16 ნაწილი.

დამოუკიდებლობას ან/და მიუკერძოებლობას. ამისაგან განსხვავებით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის მარეგულირებელი ნორმა მოითხოვს მხოლოდ იმას, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, რომელიც ამავდროულად კანდიდატია, არ სარგებლობდეს კანდიდატების შეფასებისა და ხმის მიცემის უფლებით პროცედურის არცერთ ეტაპზე. იგი ასევე არ არის უფლებამოსილი, კითხვით მიმართოს კანდიდატებს საბჭოს მიერ მათი მოსმენისას. ინტერესთა კონფლიქტის ისეთი შემთხვევები, როდესაც საბჭოს წევრი თვითონ უშუალოდ კანდიდატი არ არის, თუმცა მისი ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავია, საერთოდ არ არის მოწესრიგებული. ამის მიუხედავად, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი საჯარო მოსამსახურეს, რომლის მოვალეობაა კოლეგიური ორგანოს შემადგენლობაში იმ გადაწყვეტილების მიღება, რომლის მიმართაც მას ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესი აქვს, ავალდებულებს ამის შესახებ აცნობოს ამ ორგანოს სხვა წევრებს და უარი განაცხადოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობაზე. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, ირაკლი შენგელიას შემთხვევა, რომლის ცოლის ძმა - ლევან თევზაძე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში იღებდა მონაწილეობას. ირაკლი შენგელია ყველა ეტაპზე უარყოფდა ინტერესთა კონფლიქტის არსებობას, კანონის მოთხოვნებთან წინააღმდეგობას და არ ჩამოშორებია გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. ლევან თევზაძე კანდიდატთა ე.წ. გრძელ სიაში აღმოჩნდა და გასაუბრებაც გაიარა.⁸² მან კანდიდატურა მოხსნა მანამ, სანამ 50 კანდიდატიდან საბჭო მომდევნო ეტაპზე 20 კანდიდატს გადაიყვანდა. ამის მიუხედავად, წინა ეტაპებზე ირაკლი შენგელიას მხრიდან საბჭოს წევრების წინაშე ინტერესთა კონფლიქტის უარყოფა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა უნდა შეფასდეს „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევად.

ინტერესთა კონფლიქტის ჭრილში ასევე საყურადღებოა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის, გიორგი მიქაუტაძის შემთხვევა. მან, როგორც კანდიდატმა თვითაც იღებდა განაცხადა და საბჭოს წევრის სახით შერჩევის პროცესში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანამდებობიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობდა საბჭოს აპარატს.⁸³ საბჭოს აპარატს მნიშვნელოვანი ფუნქციები აკისრია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში. მაგალითად, საბჭოს აპარატის შესაბამისი

⁸² ირაკლი შენგელიას გასაუბრებების დროს კონკრეტულად ლევან თევზაძისათვის კითხვა არ დაუსვამს, თუმცა მონაწილეობდა სხვა კანდიდატებისადმი კითხვების დასმის პროცესში.

⁸³ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. რეგლამენტი დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის #1/208-2007 გადაწყვეტილებით.

სტრუქტურული ერთეული მოიძიებს კანდიდატების შესახებ სანდო ინფორმაციას, საფუძვლიანად სწავლობს მათ პროფესიულ რეპუტაციასა და საქმიანობას, ამოწმებს კანდიდატების მიერ წარდგენილი ინფორმაციის სიზუსტეს, აგრეთვე ინფორმაციას მათ მიმართ წარსულში არსებული სისხლისსამართლებრივი დევნის/დისციპლინური დევნის ან/და ადმინისტრაციული წარმოების თაობაზე. საბჭოს მდივანი, როგორც აპარატის ხელმძღვანელი, ზედამხედველობს აპარატის სტრუქტურულ ერთეულებსაც. შესაბამისად, ამ ნაწილში გიორგი მიქაუტაძე კვლავ იმყოფებოდა ინტერესთა კონფლიქტის მდგომარეობაში და უნდა ემოქმედა „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, რაც არ გაუკეთებია. აღნიშნული ნორმის მიხედვით, „საჯარო მოსამსახურე, რომლის მოვალეობაა იმ გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღება, რომლის მიმართაც მას ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესი აქვს, ვალდებულია განაცხადოს თვითაცილების შესახებ და ამის თაობაზე წერილობით აცნობოს თავის უშუალო ხელმძღვანელს (ზემდგომ ორგანოს), რომელიც ან თვითონ იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ან ამ მოვალეობას სხვა თანამდებობის პირს აკისრებს.“ შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიმართვის საფუძველზე, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მისივე აპარატის ხელმძღვანელობის უფლებამოსილება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე უნდა დაეკისრებინა სხვა წევრისათვის, რომელიც ამგვარ მდგომარეობაში არ იმყოფებოდა.

გასაუბრების განმავლობაში არცერთ კანდიდატს საბჭოს არცერთი წევრის მიმართ აცილება არ განუცხადებია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თვითაცილება შეზღუდული ფორმით განაცხადა იუსტიციის საბჭოს მდივანმა გიორგი მიქაუტაძემ. თვითაცილება განაცხადა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა ანა დოლიძემ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის ილონა თოდუას გასაუბრებაზე და განმარტა, რომ წარსულში, მასთან დაკავშირებით მოსაზრებები აქვს გამოთქმული.

8. გამჭვირვალობა

ახალმა საკანონმდებლო ცვლილებებმა⁸⁴ და მის საფუძველზე წარმართულმა პროცესმა საზოგადოებას მისცა შესაძლებლობა ედევნებინა თვალი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატებთან გასაუბრებისათვის. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის წვლილი, რომელმაც საკუთარ ვებგვერდზე გასაუბრების პირდაპირ რეჟიმში ვიდეოტრანსლირება შესთავაზა ინტერნეტმომხმარებელს. თავად საბჭომ სხდომათა

⁸⁴ 2019 წლის 1 მაისს შეტანილი ცვლილებები „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში.

ვიდეოჩანაწერები მხოლოდ მოგვიანებით გახდა ხელმისაწვდომი ვებგვერდის მეშვეობით. სამომავლოდ, იმისათვის რომ რომელიმე მაუწყებლის კეთილ ნებაზე არ გახდეს დამოკიდებული პროცესის ამ ხარისხით გამჭვირვალობა, ჯობს მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრების ამსახველი ვიდეოჩანაწერები საბჭოს მიერვე გახდეს ხელმისაწვდომი პირდაპირი ტრანსლაციის ფორმითაც.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში კანონი ითვალისწინებს მინიმალური ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას, რაც საბჭოს მხრიდან შესრულებული იყო. უარყოფითად უნდა აღინიშნოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების დღის წესრიგისა და მისი გამართვის თარიღის შესახებ ინფორმაციის წინასწარ, კანონით დადგენილ ვადაში გამოუქვეყნებლობა. კერძოდ, არ იყო დაცული „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის გამართვამდე არანაკლებ 7 დღით ადრე საბჭოს ვებგვერდზე ქვეყნდება სხდომის გამართვის თარიღისა და დღის წესრიგის თაობაზე ინფორმაცია. არათუ საზოგადოებას, საბჭოს ზოგიერთ წევრსა და აპარატსაც არ ჰქონდათ ინფორმაცია დაგეგმილი სხდომის შესახებ, კანონით დადგენილ ვადებში.⁸⁵

პროცესის საწყის ეტაპზე, პრობლემად გამოიკვეთა დამკვირვებელი ორგანიზაციებისათვის მათ მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. კერძოდ, 2019 წლის 31 მაისს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან გამოითხოვა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 20 ვაკანსიაზე საბჭოში შესული ყველა განცხადებისა და განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ასლები. ამა წლის 13 ივნისის პასუხით, საბჭომ უარი თქვა მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე პერსონალური მონაცემების საფუძვლით. სახალხო დამცველმა შეისწავლა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უარი დამკვირვებელი ორგანიზაციისათვის ინფორმაციის გაცემაზე და მიიჩნია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება დაუსაბუთებლად ზღუდავდა იმ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა პროცესის მონიტორინგისა და მის მიმართ ნდობის გაჩენისათვის. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში მიმდინარე წლის 1 მაისს შეტანილი ცვლილებით გათვალისწინებულ იქნა დამატებითი ბერკეტები, რომლებიც გამორიცხავს განსაკუთრებული კატეგორიის შესახებ მონაცემების დახურვასაც კი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საუბარია კანდიდატის ჯანმრთელობის შესახებ მონაცემებზე. საბჭოს უარი არათუ კანონში

⁸⁵ საბჭოს სხდომის გამართვის თარიღისა და დღის წესრიგის გამოქვეყნებასთან დაკავშირებული პრობლემები არ იყო დამახასიათებელი მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესისათვის, არამედ ეს პრობლემა სისტემურად დგას და მის არსებობას იუსტიციის უმაღლესი საბჭოც ადასტურებს.

ცვლილებების შეტანის შემდეგ დადგენილ გამჭვირვალობის სტანდარტს, არამედ მანამდე მოქმედ სტანდარტსაც არ პასუხობდა და გამოუსწორებელ ზიანს აყენებდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესს. იმ პირობებში, როდესაც საბჭო კანდიდატებს თითოეულ ეტაპზე ფარული კენჭისყრით შეარჩევს, გადაწყვეტილებები კი დაუსაბუთებელია, ისედაც მცირე შესაძლებლობა რჩება პროცესებზე დასაკვირვებლად. ამ პირობებში კანდიდატების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციასა და დოკუმენტებზე წვდომის შეზღუდვა კი საერთოდ შეუძლებელს ხდის დაკვირვებას და პროცესებს სრულიად დახურულს ტოვებდა.

2019 წლის 27 ივნისს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, გასცეს პროცესზე დამკვირვებელი ორგანიზაციის მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია - შერჩევის პროცედურაში მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და სხვა დოკუმენტების ასლები. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 12 ივლისის სხდომაზე განიხილა სახალხო დამცველის 27 ივნისის რეკომენდაცია და მისი გათვალისწინების გადაწყვეტილება მიიღო. შესაბამისად, დამკვირვებელი ორგანიზაციებისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომი გახდა უზენაესი სასამართლოს კანდიდატად რეგისტრირებული 137 პირის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების ასლები. სახალხო დამცველის მოსაზრებით, შერჩევის პროცესში მონაწილე 144-ივე პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები უნდა გასაჯაროებულიყო.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესის დაკვირვების მიზნებისათვის, სახალხო დამცველმა არაერთხელ მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და გამოითხოვა სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია. გამოიკვეთა შემთხვევა, როდესაც ინფორმაცია მივიღეთ დაგვიანებით. მაგალითად, შერჩევის პროცესში მონაწილე პირების განცხადებები და თანდართული დოკუმენტაცია სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა 2019 წლის 24 ივნისის წერილით, სრულყოფილი ინფორმაცია კი მხოლოდ 2019 წლის 9 აგვისტოს მიიღო.⁸⁶

დასკვნა

ჯერ კიდევ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის კანონპროექტთან დაკავშირებით მივუთითეთ რომ „პროცედურებისა და კრიტერიუმების გაწერას არ უნდა ჰქონდეს მხოლოდ ფორმალური ხასიათი. მას უნდა შეეძლოს არსებითად შეცვალოს გადაწყვეტილებების მიღების ის პრაქტიკა, რასაც ადგილი აქვს

⁸⁶ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მოთხოვნილი ინფორმაცია სახალხო დამცველს უნდა მიეწოდოს არაუგვიანეს 10 დღისა. 9 აგვისტომდე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ინფორმაციის მხოლოდ ნაწილი მოგვაწოდა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფარგლებში და უზრუნველყოს სამართლიანობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროცედურები და კრიტერიუმები გამოყენებულ იქნება ფორმალური კანონიერების ხაზგასასმელად, უსამართლო გადაწყვეტილებების შინაარსის ცვლილების გარეშე.⁸⁷

ახლა, როდესაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფარგლებში დასრულებულია და ის საქართველოს პარლამენტში გრძელდება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამჭვირვალობის ხარისხის გაუმჯობესების მიუხედავად, გადაწყვეტილებების ფარულად მიღების, მათი დაუსაბუთებლობისა და გასაჩივრების შესაძლებლობის არარსებობის გამო, ვერ მოხერხდა პროცესის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის გაჩენა. იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სახალხო დამცველის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევაზე დაკვირვებამ მრავალი პრობლემა გამოავლინა, რომლებმაც არსებითი გავლენა მოახდინეს პროცესის სამართლიანად, მაღალი სტანდარტებით წარმართვაზე. დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარმართულმა პროცესმა ვერ შეძლო ობიექტური დამკვირვებლის დარწმუნება იმაში, რომ საბოლოოდ ყველაზე კომპეტენტური და კეთილსინდისიერი კანდიდატები წარედგინა საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლის 20 ვაკანსიაზე უვადოდ ასარჩევად. პარლამენტის მიერ მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა არსებითად ვერ შეცვალა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა და ვერ უზრუნველყო პროცესის სამართლიანად წარმართვა. ამ ცვლილებების მოშველიებითა და მათზე დაყრდნობით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო პროცესის ფორმალურ კანონიერებაზე საუბრობს, თუმცა აშკარაა სამართლიანობის ნაკლებობა მის მიერ გადაწყვეტილებათა მიღებისას. სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველსაყოფად და ამ უფლების მეშვეობით ადამიანის სხვა უფლებათა რეალიზაციისათვის მნიშვნელოვანია საქართველოს პარლამენტმა შეიმუშავოს და მიიღოს ისეთი ცვლილებები, რომელიც გამორიცხავს თვითნებობას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გადაწყვეტილებების მიღებისას, უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის აცილების მაღალ სტანდარტს, გამჭვირვალობას და პროცესის სრულ საჯაროობას მათ შორის საბჭოში ღია კენჭისყრისა და გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულების შემოღების გზით და ასევე, შექმნის მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობას. მხოლოდ ასეთი საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში გახდება შესაძლებელი შეირჩენ კეთილსინდისიერებითა და კომპეტენტურობით საუკეთესო კანდიდატები საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად უვადოდ გასამწყესებლად.

⁸⁷ სახალხო დამცველის 2019 წლის 20 მარტის საჯარო განცხადება. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://bit.ly/2mDG4bx> > [ბოლოს ნანახია: 18.09.19]

რეკომენდაცია

საქართველოს პარლამენტს

შეიმუშავოს და მიიღოს ისეთი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც გამორიცხავს თვითნებობას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გადაწყვეტილებების მიღებისას, უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის აცილების მაღალ სტანდარტს, გამჭვირვალობას და პროცესის სრულ საჯაროობას მათ შორის საბჭოში ღია კენჭისყრისა და გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულების შემოღების გზით და ასევე, შექმნის მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობას.